# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 12 იანვარი. 2023 წ. №5 (9537) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




უკვე ნახევარ წელიწადზე მეტია, „პუტინის მზარეულის“, ევგენი პრიგოჟინის კერძო ჯარი უკრაინის აღმოსავლეთით მდებარე ბახმუტის აღებას უშედეგოდ ცდილობს. სტრატეგიული მნიშვნელობის პატარა ქალაქი გამუდმებით იბომბება.

## რატომ ანადგურებს „პუტინის მზარეული“ პრიგოჟინი ბახმუტს, სადაც ქართველი მებრძოლებიც იღუპებიან

იხ. 8 გვ.

*დიდი ხელოვანი*

## სერგო ფარაჯანოვი - ორი ერის საამაყო თბილისელი



**ნუგზარ ფოფხაძე:**

მოსკოვში (და აქაც) გამოდის წიგნი სერგო ფარაჯანოვის შესახებ. მოსკოველებმა, ეტყობა, საქართველოში გადაღებული დოკუმენტური ფილმი ნახეს, რომელშიაც ჩემი ინტერვიუა გაჟღერებული და მთხოვეს ამ წიგნში მონაწილეობა. თხოვნა იმდენად დაბეჯითებული გახლდათ, რომ „გაძალიანება“ არ გამოვიდა. შევთანხმდით, რომ დაიბეჭდებოდა და ინტერვიუ, გაშიფრული ნაწილი და თემა ამით ამოიწურებოდა...

გუშინ საღამოს მასალა მომივიდა და სერიოზული რედაქტირება ვერ მოვასწარი. ვინაიდან დღეს სერგო ფარაჯანოვის დაბადების დღეა (9 იანვარი), მეც გავერიე მოგონებელთა მარაქაში და...

გაეცანით ამ წერილს. მაინცდამაინც დახვეწილი არ არის, ამიტომ ნუ იქნებით მეტისმეტად მკაცრნი.

იხ. 6-7 გვ.

*„ხალხის ძალა“:*

### კასიანოვმა უკვე კონკრეტული ბრალდება გაახმოვანა აშშ-ის მიმართ. ვთხოვთ ქალბატონ ელჩს, ახლა მაინც უარყოს ან დაადასტუროს უკრაინის წარმომადგენლის განცხადება

3

## ბრძოლა

8

### გეოგრაფიული სახელებისთვის აფხაზეთში

---

### ჩემს სოფელს არასდროს რქმევია ხიაცხა!

## ასე ადვილად რატომ იჯერებენ ადამიანები ყალბ ახალ ამბებს?




7

*ალუდა ღუდუშაური:*

### როგორ უნდა მისცე საბრძოლო ტექნიკა უკრაინას, როდესაც საქართველო, პრაქტიკულად, პირისპირაა დარჩენილი რუსეთთან?!

3



5

### „პარლამენტარები“ პამპერსებით(?!)

### პროფესიონალი მუშახელის დიდი ნაკლებობაა!

4

დიდი მოთხოვნაა სპეციფიკური სპეციალობის უნარების მქონე ადამიანებზე, რისი მნიშვნელოვანი დეფიციტიცაა ქვეყანაში

### პორტუგალიის სასაფლაოებზე ცხედრები თავისით მუმიფიცირდება

9



# ირაკლი ღარიბაშვილი საფრანგეთის ელჩს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოში საფრანგეთის ელჩს, შერაზ გასრის შეხვდა.**

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე საუბარი საქართველოსა და საფრანგეთს შორის არსებულ ურთიერთობებსა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს შეეხო.

**„აღინიშნა, რომ საფრანგეთი საქართველოს მეგობარი და სანდო პარტნიორია. მთავრობის მეთაურმა საფრანგეთის ელჩს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე არაღიარების პოლიტიკის მიმართ მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. შეხვედრაზე ხაზი გაესვა საფრანგეთის მხარდაჭერის მნიშვნელობას საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის მიმართ. აღინიშნა, რომ საქართველო გააგრძელებს ევროპული ღირებულებების მხარდაჭერას და კონსტრუქციულ როლს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდასაჭერად“,** – აღნიშნულია პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციაში.

# ირაკლი კობახიძე პაველ ჰერჩინსკის შეხვდა



**„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე საქართველოში ევროკავშირის ელჩს, პაველ ჰერჩინსკის შეხვდა.** „ქართული ოცნების“ პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართულ შეხვედრაზე მმართველი პარტიის თავმჯდომარემ და ევროკავშირის ელჩმა ისაუბრეს საქართველო-ევროკავშირს შორის სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებასა და ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებზე.

# მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2024 წელს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდება

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის გოგიტა თოდრაძის განცხადებით, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომელიც 2024 წელსაა დაანონსებული, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდება.**

როგორც გოგიტა თოდრაძემ აღნიშნა, თავდაპირველად თვითრეგისტრაციის მეთოდი იქნება გამოყენებული, შემდეგ კი მონაცემების შეგროვება პლანშეტური კომპიუტერების საშუალებით მოხდება.

**„როგორც იცით, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თარიღი დადგინდა. ეს ჩატარდება 2024 წლის 14 ნოემბრიდან – 19 დეკემბრის პერიოდში. ამ აღწერისთვის ჩვენ უარს ვამბობთ ტრადიციული მეთოდის გამოყენებაზე და თანამედროვე ტექნოლოგიებს გამოვიყენებთ. ანუ პირველი ორი კვირის განმავლობაში, მონაცემთა შეგროვება დაიწყება თვითრეგისტრაციის მეთოდის გამოყენებით და შემდეგ გაგრძელდება ე.წ. კაპის მეთოდით, ანუ პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით მონაცემთა შეგროვების გზით.**

**ამასთან, „საქსტატის“ ბიუჯეტი 2023 წლისთვის გაზრდილია 13 მლნ-იდან 21 მილიონამდე. ზრდა, ძირითადად, განპირობებულია იმით, რომ აქტიურ ფაზაში შედის მოსახლეობის აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები და 6.5 მლნ ლარი მოდის მოსამზადებელ სამუშაოებზე. ასევე, როგორც ყველა საჯარო უწყებაში, ჩვენც გავზარდეთ დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება“,** – განაცხადა თოდრაძემ.

# საწყალი „ტრიფონია“ უცემიათ და მოუწამლავთ!

**ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 9 იანვრის სასამართლო პროცესის შესახებ განცხადებას აკეთებს.**

სააკაშვილის თქმით, იუსტიციის სამინისტრო ექიმების დასკვნებს არ ენდობა და აცხადებს, რომ მისი ამჟამინდელი მდგომარეობა 2017 წლის კიევის მოვლენების ბრალია.

**„9 იანვრის სასამართლო პროცესიდან, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების გამოსვლიდან მე გავიგე რამდენიმე რამ:**

**1. სამინისტრო არ ენდობა არც ერთი მისი შერჩეული ექიმის დასკვნას.**

**2. ის, რომ ჩავარდნები მაქვს მეხსიერებაში, 50 კილო დავიკელი, ვერ დავდივარ და ა.შ. 2017 წლის კიევის მოვლენების ბრალი ყოფილა. ჩემი აზრით, 4 წლის ასაკში ველოსიპედიდან რომ გადმოვვარდი და სამი კბილი მოვიტეხე – სინამდვილეში ესაა ყველაფერში დამნაშავე და არა ის, რომ მირტყეს, ასფალტზე და იატაკზე მათრიეს, შემოკი მომიწყვეს და მომწამლეს თბილისში. ვინმე ნიკოლაიშვილი ეუბნება მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ნევროლოგს, რომ არ ვენდობი შენს დიაგნოზსო, ოღონდ ამ ნიკოლაიშვილს გორის იურიდიული ფაკულტეტი აქვს დამთავრებული და პრაქტიკულად გენიოს ლაჰანს (რომელიც 12 წლის ასაკში გახდა სტუდენტი, დაჯილდოებულია ამერიკის ყველა მთავარი ჯილდოთი) ეკამათება მედიცინაზე.**

**ყველაფერი ეს სასაცილო იქნებოდა, საქმე რომ არ გვქონდეს მკვლელობის სცენართან და ურთქმელიძე არ იყოს ცივსისხლიანი მკვლელობის კლასიკური წარმომადგენელი. რაც შეეხება მსგავსი სუბიექტების გლობალური მაგნიცკის სიაში ჩართვას, მე მოვუწოდებ ამ საქმეში აქტიურად ჩაერთონ არასამთავრობო ორგანიზაციები, ვინაიდან ეს არაა პარტიული საკითხი“.**

* * *

**ძვირფასო მკითხველო! აი, ეს მატყუარა, შეურაცხადი „ტრიფონია“ გვყავდა ჩვენ პრეზიდენტად მთელი 9 წელიწადი!**

**კიდევ კარგად ვართ გადარჩენილები!.. გმადლობთ, უფალო!**

# მსოფლიო ეკონომიკის დაღმასვლა




## ეკონომიკის მკვეთრი და ხანგრძლივი ვარდნა ძლიერ დარტყმას მიაყენებს განვითარებად ქვეყნებს...

## გლობალური ეკონომიკური ზრდა 1.7 პროცენტამდე შენელდება!

**გლობალური ეკონომიკის პერსპექტივების შესახებ მსოფლიო ბანკის უახლესი ანგარიშის თანახმად, გლობალური ეკონომიკური ზრდა მკვეთრად შენელდა გაზრდილი ინფლაციის, მაღალი საპროცენტო განაკვეთების, შემცირებული ინვესტიციების და უკრაინაში რუსეთის შეჭრით გამოწვეული პრობლემების ფონზე.**

როგორც ანგარიშშია აღნიშნული, მყიფე ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, ნებისმიერი ახალი უარყოფითი მოვლენა, როგორებიცაა მოსალოდნელზე მაღალი ინფლაცია, მის შესაჩერებლად საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა, „კოვიდ-19“-ის პანდემიის ახალი ტალღა ან გეოპოლიტიკური დაძაბულობის ესკალაცია, შესაძლოა, გლობალური ეკონომიკის რეცესიას განაპირობებდეს. ეს იქნება პირველი შემთხვევა გასული 80 წლის განმავლობაში, როდესაც ერთი ათწლეულის განმავლობაში ორი გლობალური ეკონომიკური ვარდნა აღინიშნება.

**პროგნოზის მიხედვით, გლობალური ეკონომიკური ზრდა 2023 წელს 1.7 პროცენტი, ხოლო 2024 წელს 2.7 პროცენტი იქნება. ეკონომიკის მკვეთრი დაღმასვლა სავარაუდოდ ფართოდ გავრცელდება და მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნების 95 პროცენტს და განვითარებადი ქვეყნებისა და ბაზრების დაახლოებით 70 პროცენტს მოიცავს. განვითარებად ქვეყნებში მომდევნო ორი წლის განმავლობაში შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე სავარაუდოდ საშუალოდ 2.8 პროცენტი იქნება, რაც ერთი სრული პროცენტული ერთეულით ნაკლებია 2010-2019 წლების საშუალო მაჩვენებელზე. საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებში, სადაც მსოფლიოს უკიდურესად ღარიბი მოსახლეობის დაახლოებით 60 პროცენტი ცხოვრობს, მოსალოდნელია, რომ 2023-2024 წლებში შემოსავლის ზრდა ერთ სულზე საშუალოდ მხოლოდ 1.2 პროცენტი იყოს, რამაც შესაძლოა, სიღარიბის მაჩვენებლების ზრდა გამოიწვიოს.**

**„გლობალური ეკონომიკური ზრდის პერსპექტივის გაუარესების ფონზე მძაფრდება განვითარების წინაშე არსებული კრიზისი. განვითარებადი ქვეყნები და ბაზრები შენელებული ეკონომიკური ზრდის მრავალწლიანი პერიოდის წინაშე დგანან, რაც განპირობებულია ვალის მძიმე ტვირთით და სუსტი ინვესტიციებით, რადგან გლობალური კაპიტალი ათვისებულია მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნების მიერ, სადაც მთავრობის დავალიანების უკიდურესად მაღალი დონე და მზარდი საპროცენტო განაკვეთები აღინიშნება. ეკონომიკური ზრდისა და ბიზნესინვესტიციების სისუსტე უარყოფით გავლენას იქონიებს განათლებაზე, ჯანდაცვაზე, სიღარიბესა და ინფრასტრუქტურაზე, ასევე კლიმატის ცვლილებიდან გამომდინარე მზარდ მოთხოვნებზე“,** – აღნიშნა მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტმა, დევიდ მალპასმა.

**პროგნოზის თანახმად, განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა 2022 წლის 2.5%-იანი მაჩვენებლიდან 2023 წელს 0.5%-მდე შემცირდება. გასული ორი ათწლეულის განმავლობაში ასეთი მასშტაბის ეკონომიკური დაღმასვლა გლობალური რეცესიის მაუწყებელი აღმოჩნდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში 2023 წელს მოსალოდნელია ზრდის მაჩვენებლის 0.5%-მდე ვარდნა, რაც 1.9 პროცენტული ერთეულით ნაკლებია წინა პროგნოზებთან შედარებით და 1970 წლის შემდეგ ეფექტიანობის უმდაბლესი მაჩვენებელია, ოფიციალური რეცესიების მიღმა.**

როგორც მსოფლიო ბანკის ანგარიშშია აღნიშნული, 2023 წელს ევროზონაში მოსალოდნელია ნულოვანი ეკონომიკური ზრდა, რაც 1.9 პროცენტული ერთეულით დაღმავალი კორექტირების შედეგი იქნება. 2023 წელს ჩინეთში ეკონომიკური ზრდა მოსალოდნელია 4.3%-ის დონეზე, რაც 0.9 პრო-

ადვილი მისახვედრი და გასაშიფრია კოორდინაციის ხარისხი, რომელიც საქართველოში ყველაზე მასშტაბური დამნაშავის, სააკაშვილის სასჯელისგან დახსნას, ხელისუფლების დისკრედიტაციას, საქართველოს ომში ჩართვის ინტერესსა და მშვიდობის, სტაბილურობისთვის საფრთხის შექმნას ემსახურება, – ამის შესახებ ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც მოძრაობა „ხალხის ძალა“ ავრცელებს.

როგორც განცხადების ავტორები აღნიშნავენ, **„აგენტის პატრონები“ პოზიციების ღიად გამოხატვასაც აღარ ერიდებიან.**




# „ხალხის ძალა“:

# კასიანოვმა უკვე კონკრეტული ბრალდება გაახმოვანა აშშ-ის მიმართ. ვთხოვთ ქალბატონ ელჩს, ახლა მაინც უარყოს ან დაადასტუროს უკრაინის წარმომადგენლის განცხადება

**„გვინდა, საზოგადოება საქმის კურსში ჩავაყენოთ ომის პარტიის გლობალურ და ახალი მასშტაბის კოორდინაციაზე:**

**მოგეხსენებათ, მიხეილ სააკაშვილის დაკავებიდან პირველი თვეების განმავლობაში მისი პატრონები და დავალების მიმცემები არ ჩანდნენ, ბოლო პერიოდში კი, როგორც ვხედავთ, უკვე ღიად გამოჩნდნენ და დაკავშირებული ორგანიზაციებით, კონკრეტული პირების მეშვეობით თავიანთ აგენტს უკვე ღიად იცავენ. მაგალითისთვის მხოლოდ გუშინ გაკეთებული რამდენიმე განცხადებაც გამოდგება: Bellingcat-ის საგამოძიებო ჯგუფის აღმასრულებელმა დირექტორმა, ხრისტო გროზევმა საჯაროდ მიმართა საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს და შესთავაზა დახმარება სააკაშვილის მოწამვლის საქმის გამოძიებაში. ალბათ ხვდებით ცინიზმისა და ტყუილის გამართლების მცდელობის ხარისხს.**

**მეორე: მაგნიტსკის სიის ავტორი, ბატონი ბროუდერი ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილის წამების უკან დგას პუტინი, რომელსაც სურს შურისძიება სააკაშვილზე. როგორც ხედავთ, ბროუდერმა უკვე არა მხოლოდ ის „დაადგინა“, რომ სააკაშვილს აწამებენ, არამედ მის შემკვეთზეც გავიდა. აქაც, ცინიზმისა და დადგმული უნიკო სპექტაკლის გამართლების უპრეცედენტო ხარისხის გარდა, საქმე გვაქვს ათი წლის განმავლობაში ყველა გრუნვაში ნატრიალები მესიჯის გამყარების მცდელობასთან, რომელიც საქართველოს ხელისუფლების ე.წ. პრორუსობას შეეხება. შეგახსენებთ, ამ მესიჯს იმ პარტიის წარმომადგენლები და მედიასაშუალებები ატრიალებენ, რომელმაც პუტინს ჯერ ქართული ტერიტორიები ჩააბარა, შემდეგ კი ომის დაწყებაზე და ომის დანაშაულზე მოუწერა ხელი.**

**მესამე იყო გენერალ ბენ ჰოჯესის მიერ იმავე მიზნით გუშინვე გაკეთებული განცხადება. ადვილი მისახვედრი და გასაშიფრია იმ კოორდინაციის ხარისხი, რომელიც საქართველოში ყველაზე მასშტაბური დამნაშავის, მიხეილ სააკაშვილის სასჯელისგან დახსნას, ხელისუფლების დისკრედიტაციას, საქართველოს ომში ჩართვის ინტერესსა და, შესაბამისად, მშვიდობისა და სტაბილურობისთვის საფრთხის შექმნას ემსახურება. აგენტის პატრონები კი უკვე პოზიციების ღიად გამოხატვასაც აღარ ერიდებიან“,** – ნათქვამია განცხადებაში.

მოძრაობა „ხალხის ძალა“ ასევე ეხმაურება საქართველოში უკრაინის საქმეთა დროებითი რწმუნებულის, ანდრეი კასიანოვის განცხადებას. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, კასიანოვმა უკვე ძალიან კონკრეტული და მკაფიო ბრალდება გაახმოვანა ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ საქართველოს საომარ მოქმედებებში ჩართვასთან დაკავშირებით.

„ხალხის ძალის“ წევრები საქართველოში აშშ-ის ელჩს, კელი დეგნანს სთხოვენ, უარყოს ან დაადასტუროს უკრაინის წარმომადგენლის განცხადება.

**„აქვე, გვინდა გამოვეხმაუროთ გუშინ გაკეთებულ კიდევ ერთ განცხადებას: გახსოვთ, რომ თვეების განმავლობაში ვთხოვდით ამერიკის საელჩოს და ელჩს, საქართველოს ომში ჩართვის ინტერესს მკაფიოდ გამიჯვნოდა, თუმცა, სამწუხაროდ, ეს არ მომხდარა. გუშინ უკრაინის სპეციალურმა წარმომადგენელმა კასიანოვმა უკვე ძალიან კონკრეტული და მკაფიო ბრალდება გაახმოვანა ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, ჩვენი ქვეყნის საომარ მოქმედებებში ჩართვასთან დაკავშირებით. ვთხოვთ ქალბატონ ელჩს, ახლა მაინც გამოვიდეს და უარყოს ან დაადასტუროს უკრაინის წარმომადგენლის განცხადება, რითიც უზრუნველყოფილი იქნება როგორც ქართული, ასევე საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება. თუ ქალბატონი კელი დეგნანი კვლავ არ გამოეხმაურება ჩვენს თხოვნას, საზოგადოება ჩათვლის, რომ დუმილი ამ შემთხვევაშიც თანხმობის ნიშანია“,** – აღნიშნულია განცხადებაში.

---

ცენტული ერთეულით ნაკლებია წინა პროგნოზებზე. განვითარებად ბაზრებსა და ქვეყნებში, ჩინეთის გამოკლებით, ზრდა 2023 წელს სავარაუდოდ 2022 წლის 3.8%-იანი მაჩვენებლიდან 2.7%-მდე შემცირდება, რაც მნიშვნელოვნად სუსტ გარე მოთხოვნას ასახავს. აღნიშნული გამოწვეულია მაღალი ინფლაციით, ვალუტის გაუფასურებით, დაფინანსების მკაცრი პირობებითა და განვითარების შემაფერხებელი სხვა ადგილობრივი ფაქტორებით.

**ანგარიშის მიხედვით, 2024 წლის ბოლოსთვის განვითარებად ბაზრებზე და ქვეყნებში მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) პანდემიამდე მოსალოდნელ დონეზე დაახლოებით 6%-ით ნაკლები იქნება. გლობალური ინფლაციის ზომიერი მაჩვენებლის მოლოდინის მიუხედავად, ის პანდემიამდელ დონეზე მაღლა შენარჩუნდება.**

ანგარიში წარმოგვიდგენს ინვესტიციების ზრდის პერსპექტივის პირველ ყოვლისმომცველ საშუალოვადიან შეფასებას განვითარებადი ბაზრებისა და ქვეყნებისთვის. 2022-2024 წლების პერიოდში მთლიანი ინვესტიციები ამ ქვეყნებში სავარაუდოდ საშუალოდ 3.5%-ით გაიზრდება, რაც წინა ორ ათწლეულში არსებული მაჩვენებლის ნახევარზე ნაკლებია. ინვესტიციების ზრდის დასაჩქარებლად ანგარიში პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის შესაძლო ვარიანტების ჩამონათვალს იძლევა.

**„შეზღუდული საინვესტიციო საქმიანობა სერიოზული პრობლემაა, რომელიც დაბალ პროდუქტიულობასა და ვაჭრობას უკავშირდება და საფრთხეს უქმნის საერთო ეკონომიკურ პერსპექტივებს. ინვესტიციების ძლიერი და მდგრადი ზრდის გარეშე უბრალოდ შეუძლებელი იქნება არსებითი პროგრესის მიღწევა ფართო განვითარებისა და კლიმატთან დაკავშირებული მიზნების თვალსაზრისით. ინვესტიციების ზრდის ხელშემწყობი ეროვნული პოლიტიკა საჭიროა მორგებულ იქნას ქვეყნის გარემოებებზე, მაგრამ ის ყოველთვის იწყება ჯანსაღი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავებით და საინვესტიციო გარემოს ყოვლისმომცველი რეფორმების განხორციელებით“,** – განაცხადა მსოფლიო ბანკის პერსპექტივების ჯგუფის დირექტორმა აიჰან კოსემ.

**ანგარიში ასევე განიხილავს 37 მცირე სახელმწიფოსთან დაკავშირებულ დილემას. ამ ქვეყნების მოსახლეობა 1.5 მილიონი ან უფრო ნაკლებია. მათ გაცილებით მძაფრი რეცესია განიცადეს „კოვიდ-19“-ის პანდემიის გამო. აღდგენის პროცესი მათში გაცილებით სუსტად წარიმართა ნაწილობრივ ტურიზმის გახანგრძლივებული წყვეტილობის შედეგად. 2020 წელს ეკონომიკური გამოსავალი მცირე სახელმწიფოებში 11%-ზე მეტით შემცირდა, რაც შვიდჯერ მაღალია სხვა განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე ვარდნასთან შედარებით.**

**ანგარიში ხაზს უსვამს, რომ მცირე ქვეყნები ხშირად კატასტროფულ დანაკარგებს განიცდიან, რაც წელიწადში საშუალოდ დაახლოებით მშპ-ის 5%-ს შეადგენს. აღნიშნული მწვავე დაბრკოლებებს უქმნის ეკონომიკურ განვითარებას. ანგარიშში აღნიშნულია, რომ პოლიტიკის შემმუშავებლებს მცირე ქვეყნებში გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის პერსპექტივების გაუმჯობესება შეუძლიათ კლიმატის ცვლილებისადმი მედეგობის გაძლიერებით, ეფექტური ეკონომიკური დივერსიფიკაციის განმტკიცებითა და მთავრობის ეფექტიანობის ამაღლებით.**

ანგარიში გლობალური თანამეგობრობისგან მოითხოვს მცირე სახელმწიფოებისთვის ოფიციალური დახმარების ნაკადის შენარჩუნებას კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის მხარდასაჭერად და ვალის მდგრადი მართვის აღდგენაში დასახმარებლად.



## ალუდა ღუდუშაური:

## როგორ უნდა მისცე საბრძოლო ტექნიკა უკრაინას, როდესაც საქართველო პრაქტიკულად, პირისპირაა, დარჩენილი რუსეთთან?!

**მოდი, ყველამ თავი დაანებოს ჩვენ ქვეყანას, ეს რა თქმა უნდა, სააკაშვილს აღარ ეხება, რადგან მან მოქმედებითაც დაადასტურა, რომ არანაირი კავშირი არა აქვს არც ხალხთან და არც ქვეყანასთან, რომლის მოქალაქეც იყო,** – ასე ეხმაურება საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ალუდა ღუდუშაური საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ უკრაინისთვის სამხედრო ტექნიკის გადაცემის თემაზე გავრცელებულ განცხადებას.

ალუდა ღუდუშაურის თქმით, გარკვეული პოლიტიკოსები „კუმ ფეხი გამოყოს“ სიტუაციაში არიან და ცდილობენ, რომ თავი გამოიჩინონ.

**„თანამედროვე ტექნოლოგია იძლევა საშუალებას და საკუთარი სახლებიდან როგორმე გაზომონ, რა მანძილზე დგას ოკუპანტის საბრძოლო ტექნიკა. ამ ვითარებაში გამოლაგდებიან...თურმე ამ ვითარებაში უნდა ადგე და შენი საბრძოლო ტექნიკა მიაწოდო უკრაინას. ვთქვით, რომ ჩვენ ვართ უკრაინის, სიმართლის მხარეს და ვუსურვებთ მშვიდობას, ვუსურვებთ გამარჯვებას. ომში მყოფი ქვეყნის წარმომადგენლების განცხადებებს მთელ რიგ საკითხებთან მიმართებით ჩვენ განცხადებებით არ ვპასუხობდით, გვესმის კარგად, რა მძიმე მდგომარეობაში არიან, მაგრამ ეს პოლიტიკოსები და ვიღაცები „კუმ ფეხი გამოყოს“ სიტუაციაში არიან და ცდილობენ, რომ თავი გამოიჩინონ, იმიტომაც აქვთ ზოგს ნული, ზოგს ერთპროცენტიანი მხარდაჭერა.**

**საკუთარი ქვეყნის მტრობას თავი დაანებონ და ხალხს აუხსნან ის, როგორ უნდა მისცე საბრძოლო ტექნიკა უკრაინას, როდესაც შენი ქვეყანა პრაქტიკულად პირისპირაა დარჩენილი რუსეთთან, რამდენიმე კილომეტრში და ოცი პროცენტი არის ოკუპირებული. იქნებ აზრი დაატანო და ცოტა გონებას მოუხმონ ყველამ და გაიაზრონ, რომ ბუჩა სანამ იქნებოდა, ჩვენთან იყო ეგ ყველაფერი. დიახ, ჩვენ ვიყიდეთ ეს ტექნიკა და არავითარ შემთხვევაში არავის არ უჩუქებია. საქართველო რომ საკუთარი ქვეყნის და ხალხის ინტერესებს იცავს, როგორც ჩანს, ამას ვერ ეგუებიან, მაგრამ იქნებ როგორმე დაკავდნენ იმ ერთპროცენტიან მხარდაჭერაში“,** – განაცხადა ალუდა ღუდუშაურმა.

# ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ასაშენებლად საქართველოსთვის 775 მილიონი დოლარის სესხი გაიცა



**აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ილჰამ ალიევმა ადგილობრივი ტელევიზიების წარმომადგენლებს ვრცელი ინტერვიუ მისცა, რომელშიც მან ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის შესახებაც ისაუბრა.**

მისი თქმით, პროექტის განსახორციელებლად აზერბაიჯანმა საქართველოს 775 მილიონი დოლარის სესხი გამოუყო.

**„ხუთი წლის წინ გავხსენით ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენც ვიყავით ამ პროექტის ინიციატორები და მის განხორციელებას დიდი დრო დასჭირდა, რადგან იყო პოლიტიკური სირთულეებიც. ზოგიერთი დასავლური ქვეყანა ამ პროექტს ეწინააღმდეგებოდა და სერიოზულ დაბრკოლებებს აყენებდა. მიზეზი ის იყო, რომ ეს პროექტი სომხეთის გვერდის ავლით მუშაობდა, ანუ პროსომხური განწყობები ამ პროექტის განხორციელებაშიც გამოიხატა და ჩვენ დავკარგეთ რამდენიმე წელი.**

**კიდევ ერთი პრობლემა ფინანსების ნაკლებობას უკავშირდებოდა, რადგან ამ პროექტში ინვესტიციის მსურველი არ იყო. ჩვენი მიმართვები საერთაშორისო ფინანსურმა სტრუქტურებმა უპასუხოდ დატოვეს. მარტივად რომ ვთქვათ, ნავთობიდან პირველი შემოსავლების მიღების შემდეგ ჩვენ თვითონ გამოვყავით დიდი თანხები ამ პროექტისთვის.**



**მოგეხსენებათ, საქართველოსთვის 775 მილიონი დოლარის სესხი გაიცა და პროექტი განხორციელდა. ამჟამად ამ პროექტის გაფართოების პროცესში ვართ. ამ რკინიგზის გამტარუნარიანობას დღევანდელი 1 მილიონიდან 5 მილიონ ტონამდე გავზრდით, მაგრამ ესეც არ იქნება საკმარისი“,** – განაცხადა ალიევმა.

# პროფესიონალი მუშახელის დიდი ნაკლებობაა!

### დიდი მოთხოვნაა სპეციფიკური სპეციალობის უნარების მქონე ადამიანებზე, რისი მნიშვნელოვანი დეფიციტიცაა ქვეყანაში

**„ახალი საწარმოების შექმნა ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, თუმცა აქ რეალური პრობლემა გვაქვს ის, რომ ჩვენ, დამსაქმებლებს, დიდი მოთხოვნა გვაქვს სპეციფიკური სპეციალობის უნარების მქონე ადამიანებზე, რისი ძალიან დიდი დეფიციტიც არის ქვეყანაში“,** – ამის შესახებ „დამსაქმებელთა ასოციაციის“ პრეზიდენტმა ელგუჯა მელაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ქვეყანაში უმუშევრობა შემცირდა და ეს ბევრმა ფაქტორმა განაპირობა, მათ შორის, ტურისტების შემოდინების ზრდამ.

**„სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, უმუშევრობა შემცირდა და გაიზარდა დასაქმება. ამას ხელი შეუწყო ბევრმა ფაქტორმა. იცით, რომ ტურისტული და სასტუმრო ბიზნესი კარგად გამოცოცხლდა, მან აანაზღაურა ის დანაკარგები, რაც პანდემიის წლებში იყო.**

**ქართველი დამსაქმებლები, რა თქმა უნდა, დაინტერესებულები არიან, რომ ჰყავდეთ ისეთი ადამიანები, რომლებიც მათ ბიზნესს განავითარებენ, იმ უნარის მქონე იქნებიან, რაც აუცილებელია ამა თუ იმ კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე. სამწუხაროდ, მათი მოძიება რთულია. სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარე, რაც პროფესიულ განათლებას გულისხმობს, ბევრი შეთავაზებაა. ბიუჯეტიდან ფინანსდება პროგრამები, რომ მათ ახალი სპეციალობა მიიღონ და მოერგონ შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სამწუხაროდ, არსებული მართვის პროცესი ვერ გვაძლევს იმ შედეგებს, რაც საზოგადოებას სჭირდება“,** – აღნიშნავს ელგუჯა მელაძე.



# ...საპენსიო აქტივების ღირებულება 2.97 მილიარდი ლარია...

**2023 წლის 10 იანვრის მდგომარეობით მთლიანი საპენსიო აქტივების ღირებულება 2.97 მილიარდი ლარია, წმინდა ამონაგები კი 438 მილიონ ლარს შეადგენს,** – ამის შესახებ საპენსიო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ინფორმაციაშია ნათქვამი.

**სააგენტოს ცნობით, საპენსიო სქემაში გაწევრიანებულთა რაოდენობა მილიონ 361 ათასი ადამიანია. დღეისათვის დაგროვებითი პენსიით ისარგებლა სხვადასხვა კატეგორიის 2 969-მა პირმა, მათზე გაცემული თანხა კი 7 546 950.01 ლარს შეადგენს. საპენსიო სააგენტო ასევე აქვეყნებს საინვესტიციო პორტფელის 2022 წლის დეკემბრის ანგარიშს, რომლის მიხედვით, საპენსიო ფონდის წმინდა ამონაგებმა ფონდის გაშვებიდან (2019 წლის 1 იანვარი) 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით 40.8%, ხოლო რეალურმა ამონაგებმა (ინფლაციის გათვალისწინებით) იმავე პერიოდში 2.69% შეადგინა.**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპენსიო აქტივების წმინდა ღირებულება 2.95 მლრდ ლარს შეადგენდა. აქედან, საინვესტიციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ამონაგები 438 მილიონი ლარი იყო.

**„საპენსიო ფონდმა 2022 წლის მარტის თვიდან დაიწყო აშშ დოლარის შესყიდვა და 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო პორტფელის 18.8% განთავსებულია აშშ დოლარში, ხოლო 81.2% – ლარში. საინვესტიციო პორტფელის დეტალური სურათი ასე გამოიყურება: 2.0% განთავსებულია მიმდინარე სარგებლიან ანგარიშებზე, 16.2% – ადგილობრივ სახაზინო ობლიგაციებში, 10.5% აშშ-ის სახაზინო ობლიგაციებში, 7.4% – გლობალურ აქციებში, 0.8% – ევროობლიგაციებში, 0.1% – ადგილობრივ კორპორაციულ ობლიგაციებში, ხოლო ადგილობრივ სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და ვადიან ანაბრებში 63.0% არის განთავსებული“,** – აღნიშნულია საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო პორტფელის 2022 წლის დეკემბრის ანგარიშში.



# რუსული ფქვილის მთავარი ექსპორტიორი საქართველოა

**რუსეთიდან გასულ წელს ფქვილის ექსპორტი გაიზარდა, რუსული ფქვილის უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყანა კი საქართველო გახდა,** – იუწყება BM.GE.

რუსეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს „აგროექსპორტის“ ცენტრის მონაცემებით, **2022 წლის განმავლობაში რუსეთიდან ექსპორტზე 881 ათასი ტონა ხორბლისა და ხორბალ-ჭვავის ფქვილი გავიდა, რაც 2021 წლის მონაცემებს 3.5-ჯერ აღემატება.**

**ფქვილის ექსპორტით მიღებული შემოსავალი კი 3.9-ჯერ გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის აპრილიდან რუსეთიდან ფქვილის ექსპორტი ყოველთვიურად 60 ათას ტონას აღემატებოდა, ივნისიდან კი 100 ათას ტონას გადააჭარბა. ინფორმაციას რუსული გამოცემები ავრცელებენ.**

მათივე ცნობით, **25 დეკემბრის მონაცემებით, გასულ წელს ფქვილის უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყანა საქართველო იყო. ამ მიმართულებით ფქვილის ექსპორტი რუსეთიდან 4.7-ჯერ გაიზარდა და 202 ათასი ტონა შეადგინა. ექსპორტის ღირებულება კი 6-ჯერ გაიზარდა.**

**რუსული ფქვილის მეორე მსხვილი შემსყიდველი ერაყი იყო, სადაც 158 ათასი ტონა გავიდა, ეს მოცულობა 2021 წლის მონაცემებს 12-ჯერ აღემატება. მესამე ექსპორტიორი ქვეყანა კი ავღანეთი იყო, რომელმაც რუსეთიდან 131 ათასი ტონა ფქვილი შეიძინა, რაც 4.9%-ით მეტია წინა წლის ექსპორტის მაჩვენებელზე.**

**რუსული ფქვილის TOP-5 იმპორტიორი ქვეყნის რეიტინგში თურქეთიც მოხვდა, რომელიც წინა წლებში რუსული ხორბლის შეძენას და მის გადამუშავებას ანიჭებდა უპირატესობას. აღნიშნულ პერიოდში თურქეთში რუსეთიდან 78 ათასი ტონა ფქვილის ექსპორტი განხორციელდა, მაშინ როდესაც 2021 წელს ეს მაჩვენებელი 1 000 ტონამდე იყო. ფქვილის შემსყიდველებს შორის მეხუთე ადგილზე თურქმენეთია, რომელმაც იმპორტი 4.5-ჯერ 43 ათას ტონამდე გაზარდა.**

რუსული უწყების ინფორმაციით, **გასული წლის განმავლობაში ფქვილის ექსპორტი ეგვიპტეში, უგანდაში, სენეგალსა და შრი-ლანკაში განხორციელდა.**

ცნობისთვის, საქსტატის მონაცემებით, **2022 წლის 11 თვეში საქართველომ 60.7 მლნ დოლარის ღირებულების 160 834 ტონა ფქვილი შეიძინა, რაც მოცულობით 5.5-ჯერ, ღირებულებით კი 6.6-ჯერ აღემატება 2021 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებს. იმპორტირებული საქონლის 98% კი რუსულ ფქვილზე მოდის.**

# არ არის ეს კარგი ამბავი...

**2023 წელი შემოვიდა! კი, ნამდვილად ასეა. უკვე 2023 წელია. არც არაფერი გვკითხა. თავისით შემოვიდა, ანდა რა უნდა ეკითხა, მთელი წლის განმავლობაში კითხვა-პასუხის რეჟიმში ვიყავით სრულიად საქართველო.**

მოსვლის დროს დიდი ხმაური ატყდა. ფეიერვერკებმა ნაირფერი ვარსკვლავებით მოჭედა ცა. უხაროდა ხალხს. მომავლის იმედით ინუგეშებდნენ თავს, სიმღერით, ხმაურით ნაირნაირი სურსათ-სანოვაგით და ტკბილეულით გადატვირთული სუფრით ხვდებოდნენ ახალ წელს, თუმცა, მთლად ასეც ვერ იტყვი, ზოგს უხაროდა, ზოგს კი, ვინ იცის, რა ნაღველი და დარდი ჰქონდა გულში, რას იზამ, ასეთია ცხოვრება, მწუხარება და სიხარული, ბედნიერება და უბედობა ერთმანეთს ეჭიბრებიან თავთავიანთი ადგილების მოსაპოვებლად. ყოველივე ეს ახალი ამბავი როდია, ასე იყო, ასე არის და ასე იქნება... და როგორ არ მინდა გასულ წელს დაემსგავსოს ეს ახალი წელი, და კვლავ გაგრძელდეს ის უგუნურება, ვირუსივით რომ შეეყარა ჩვენს ხალხს კი არა, ზედა ეშელონებში მოხვედრის ჟინით გაბრუებულებს და ხალხის დიდი ნაწილიც რომ აიყოლიეს... **არ არის ეს კარგი ამბავი.**



**გულნარა სტურუა**



# იდეალური გამოსავალი კორუფციისგან თავის დასაღწევად!

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნური ინტელექტის ლაბორატორიის მკვლევარებმა დირექტორის ში იუნომის ხელმძღვანელობით შექმნეს პროგრამა, რომელსაც ავტომატურად გამოაქვს განაჩენი სისხლის სამართლის დანაშაულებათა სხვადასხვა შემთხვევაში. ში იუნომი დიდი ხანია მუშაობს ისეთი ხელოვნური ინტელექტის სისტემების შექმნაზე, რომელთაც შეუძლიათ დიდი რაოდენობის მონაცემების მქონე განკების ტექსტების ანალიზი და დამუშავება. ამ გამოკვლევების შედეგად 2015-2020 წწ. განმავლობაში კიბერ პროკურორმა 17000 განაჩენის შესწავლის საფუძველზე შეძლო განაჩენების გამოტანა 97 პროცენტიანი სიზუსტით, შეადარეს რა პროკურორებისა და რობოტის მიერ ათასობით გამოტანილი განაჩენები ერთმანეთს (რა თქმა უნდა, აქ ყოველგვარი კორუფცია გამორიცხულია).**

იურისპრუდენციაში ამ ახალი მიმართულების მთელი ხიბლი იმაშია, რომ ხელოვნურ ინტელექტს განაჩენი გამოაქვს სიტყვიერი აღწერით, (ანუ მხედველობაში არ მიიღება დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და ექსპერტიზის მონაცემები). ჩინელი პროკურორები ასეთ ხელოვნურ ინტელექტს თავის პრაქტიკაში 2016 წლიდან იყენებენ. განსაკუთრებით ეხმარებათ მათ ეს პროცესი იმის გაგებაში, თუ საეჭვო პიროვნება რამდენად სახიფათოა საზოგადოებისთვის. ეს თემა დღევანდელი ჩინელი საზოგადოებისთვის ყველაზე თავსატეხი საკითხია, რადგან ის უშუალოდ დაკავშირებულია სოციალურ რეიტინგთან, რომელიც ხელისუფლებამ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოიღო. სახელმწიფოს ყველა მცხოვრებს მინიჭებული აქვს სოციალური ქულების გარკვეული რიცხვი, რომლის შემცირება იწვევს სხვადასხვა სიმძიმის სასჯელს.

ევროპელი იურისტები სამართალისადმი ასეთ მიდგომას ინკვიზიციურ სამართალს უწოდებენ, მაგრამ ჩინური ხელოვნური ინტელექტის სპეციფიკურობაში არაფერია გასაკვირი. რომაული სამართალი თავის ადვოკატურით და მხარეებითობის შეჯიბრობითობის პრინციპით არასოდეს ითვლებოდა ცის ქვეშეთის – ჩინეთის ტრადიციულ ფასეულობებად (China Morning Post 26 December2021).

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორია ათასწლეულებს მოითვლის. მისი დამანგრეველი ზემოქმედების შესახებ უამრავი მასალა მოიპოვება, როგორც დასავლეთის, ასევე, აღმოსავლეთის ქვეყნების იურიდიულ, რელიგიურ, თუ ფილოსოფიურ ტრაქტატებში. ამჟამად ეს პრობლემა გასცდა სახელმწიფოთა საზღვრებს და მოიცავს, როგორც ნაციონალურ, ასევე საერთაშორისო სამართლებრივ კომპონენტებს. XVIII, XIX, თვით XX საუკუნის კონსტიტუციები არ შეიცავდნენ ანტიკორუფციული მიმართულების ნორმებს, ისინი მხოლოდ ქვეყნის მიმდინარე საკანონმდებლო აქტებში იყო დადასტურებული და მხოლოდ უახლოესი დროის კონსტიტუციური რეფორმების შედეგად განმტკიცებული იქნა ძირითადი კანონის დონეზე ქვეყნის სამართლებრივი ორიენტირები. თუ რაღაც ორიოდე წლის წინათ ასეთი ქვეყნების რაოდენობა მხოლოდ 38 იყო, ამჟამად 58-ს მიაღწია. რაც მთავარია, დღითი დღე იზრდება ეს რიცხვი.

კორუფცია დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა ცხოვრების ნებისმიერ სფეროზე: როგორიც არის ურთიერთობანი ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის, მათ შორის ნდობის ხარისხზე, ადამიანის უფლებათა დაცვაზე, მასმედიაზე, თვით სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და სუვერენიტეტზე... ასეთი სახის სტრატეგიის რეალიზება უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მონიტორინგის სისტემებით და გამჭვირვალობით, რადგან დღეს ნებისმიერი სახელმწიფოს სამართლებრივი კულტურა, სწორედ ამ მონიტორინგის მკაცრი მოთხოვნების მიხედვით ფასდება. კორუფცია ხომ ძირს უთხრის ქვეყნის ეკონომიკას, პოლიტიკას და მის იმიჯს საერთაშორისო დონეზე, რადგან კონსტიტუციური ორიენტირების გარეშე, საკმაოდ რთულია, უფრო მეტიც, შეუძლებელია სტაბილური სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა...

**ასე, რომ სასწრაფოდ გვჭირდება საკონსტიტუციო რეფორმა!**

# „პარლამენტარები“ პამპერსებით(?!)

**გერმანიის ქალაქ პინნერბერგის საბავშვო ბაღში – სახელწოდებით „დოლლი აინშტაინ ჰაუზ“-ში ბავშვებს სამი წლის ასაკიდან ასწავლიან დემოკრატიის პრინციპებს (!). აქ ბავშვები მაგალითად, თავისი სურვილისდა მიხედვით ირჩევენ კერძების მენიუს, გასართობ სათამაშოებს, ოთახებისა და ბაღის მორთულობას, ანუ საბავშვო ბაღის „უმნიშვნელოვანეს“ საკითხებს წყვეტენ თვითმმართველობის პრინციპით.**



აღზრდის მთავარი მიზანია – გერმანიის მომავალ მოქალაქეებს ბავშვობიდანვე ასწავლონ თავისი უფლებების გამოყენება, განავითარონ მათში დამოუკიდებლობა, ინიციატივის უნარი, საზოგადოებრივ პროცესებში აქტიური ჩართულობა, კომუნიკაბელურობა, დაეუფლონ კომპრომისების ხელოვნებას.

მაგალითად, დესერტის არჩევა ასე ხდება. ბავშვებს ურიგებენ პატარა კენჭებს, შემდეგ მაგიდებზე დებენ სხვადასხვა დესერტისა და ტკბილეულის გამოსახულებიან ყუთებს. თითოეული მათგანი იმ ყუთში აგდებს კენჭს, რომელიც მოსწონს. ამის შემდეგ, „სპეციალური კომისია“ ითვლის კენჭების რაოდენობას, რომელშიც ბევრი იქნება დესერტიც!

დესერტი ექნებათ (თუმცა აქ არსებობს მკვეთრი შეზღუდვები მაგალითად, ჩიპსების მოთხოვნა აკრძალულია!).

„ხმის მიცემა“ ხდება ანონიმურად. დამთვლელი კომისიის წევრები მათივე თანატოლები არიან (შესაბამისად, ყოველგვარი ნეპოტიზმი და „კარუსელი“ გამორიცხულია). ბავშვები დაყოფილნი არიან ჯგუფებად. ყოველი ჯგუფი ირჩევს ერთ წევრს – დეპუტატს, რომელიც უფლებამოსილია, წარმოადგინოს თავისი ჯგუფის ინტერესები ბავშვთა საბჭოს ანუ პარლამენტის სხდომაზე (პარლამენტი კვირაში ერთხელ იკრიბება). სხდომაზე ხდება სხვადასხვა აქტუალური საკითხების განხილვა. მაგალითად: მსჯელობა იმაზე, თუ რა გართობა-თამაშობებზე იქნებიან დაკავებულნი შემდგომი კვირის დღეებში.

საბავშვო ბაღის პედაგოგების აღიარებით, ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში საკმაოდ სერიოზულად მუშაობდნენ საბავშვო ბაღის აღსაზრდელების კონსტიტუციის შედგენასა და მის დახვეწაზე. ბაღის კოლექტივმა გაიარა ქვეყანაში მოქმედი თითქმის ყოველგვარი შემოწმება და მიღებული აქვს სპეციალური ლიცენზიაც.

საბავშვო ბაღის კონსტიტუციაში დაწვრილებით არის ჩამოყალიბებული როგორც ბავშვთა უფლებები, ასევე მათი პასუხისმგებლობა და მოვალეობები საბავშვო ბაღის წინაშე.

აქვე დავძენთ, რომ გერმანიის სკოლების სასწავლო პროგრამებში ერთ-ერთ საგნად შეტანილია სახელმწიფო სამართალი.

**მედეა თავდიშვილი**
555 39-69-45

# ზანგეზურის დერეფანი ადრე თუ გვიან აუცილებლად გაიხსნება

**ზანგეზურის დერეფანი, რომელიც სომხეთის სიუნიკის ოლქის გავლით აზერბაიჯანს ნახიჩევანთან დააკავშირებს, ადრე თუ გვიან აუცილებლად გაიხსნება, სურს ეს ერევანს, თუ არა. ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა.**

ალიევის თქმით, ბაქოსთვის ეს გზა არის სტრატეგიული ობიექტი და იქ გადაადგილება რაც შეიძლება უფრო ადრე უნდა დაიწყოს.

**„ზანგეზურის დერეფნის ამოქმედება გარდაუვალია, სურს ეს სომხეთს თუ არა. ეს არის სტრატეგიული პროექტი და ჩვენ გვსურს, რომ ის რაც შეიძლება მალე ამოქმედდეს“,** – განაცხადა ალიევმა. როგორც სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკო ფაშინიანმა განაცხადა, სომხეთი არ აპირებს, რომ აზერბაიჯანს რაღაცა ტიპის ექსტერიტორიული დერეფნები მისცეს, რომლებიც აზერბაიჯანს და ნახიჩევანის ავტონომიას ერთმანეთთან დააკავშირებს. ამასთანავე ფაშინიანმა განაცხადა, რომ ერევანი რეგიონული გზების განბლოკვით არის დაინტერესებული.

# „440-მილიონიანი გარიგება“

**გერმანული ფარმაცევტული გიგანტი BIONTECH-ი ლონდონში დაფუძნებულ ხელოვნური ინტელექტის კომპანიას – InstaDeep-ს ყიდულობს. უცხოური მედიის ინფორმაციით, დაახლოებით 440 მილიონის აშშ დოლარის ღირებულების გარიგება, სავარაუდოდ 2023 წლის პირველ ნახევარში შედგება.**

BioNTech-ი გააძლიერებს თავის უნარებს ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე წამლების აღმოჩენის, იმუნოთერაპიის და ვაქცინების შემუშავებისთვის. **„BioNTech-ი ფინანსური გარიგების შემდეგ დაახლოებით 240 მაღალკვალიფიციურ პროფესიონალს დაამატებს“,** – ნათქვამია კომპანიის განცხადებაში.

კიბოსა და ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე შექმნილი მედიკამენტების შემუშავებაზე ორმა კომპანიამ პირველად 2020 წელს ითანამშრომლა.

**„BioNTech-ის შეძენა საშუალებას გვაძლევს ჩავრთოთ ციფრული სამყაროს სწრაფად განვითარებადი შესაძლებლობები ჩვენს ტექნოლოგიებში, კვლევებში, წამლების აღმოჩენის და წარმოების პროცესში“,** – აცხადებს BioNTech -ის თანადამფუძნებელი, პროფესორი უღურ შაჰინი.

# უკრაინა ვერ გახდება ევროკავშირის წევრი, ვიდრე ომი არ დასრულდება!!!



**ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის თქმით, უკრაინა ვერ გახდება ევროკავშირის წევრი, ვიდრე ომი არ დასრულდება და რუსი ჯარისკაცები უკრაინიდან არ გავლენ,** – ამის შესახებ ფრანს ტიმერმანსმა „დოიჩე ველესთან“ ინტერვიუს დროს განაცხადა.

**უკრაინისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების დროს ევროკომისიაში განაცხადეს, რომ ევროკავშირში შესასვლელად აუცილებელია 1993 წელს მიღებული კოპენჰაგენის კრიტერიუმების დაკმაყოფილება; მათ შორის არის – სტაბილური სახელმწიფო ინსტიტუტები, მოქმედი საბაზრო ეკონომიკა და შესაძლებლობა, ეფექტურად შეასრულოს ევროკავშირის წევრის ვალდებულებები. გარდა ამისა, ევროკომისიამ შეიმუშავა შვიდი პირობა, რომელიც კიევმა უნდა შეასრულოს; მათ შორის საუბარია სასამართლო რეფორმებზე, კორუფციასთან ბრძოლაზე, დეოლიგარქიზაციასა და ეთნიკური უმცირესობებისადმი მიდგომაზე.**

„დოიჩე ველესთან“ ინტერვიუში ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა უკრაინის ევროკავშირში პოტენციური შესვლა თავისი გავლენით 2004 წელს ევროკავშირის ყველაზე დიდ გაფართოებას შეადარა.

**„ეს ნამდვილად შეცვლის ევროკავშირს. იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ცარიელი სიტყვები არ არის, ჩვენ პირდაპირ ეთერში უნდა ვაჩვენოთ, თუ რისი გაკეთება შეგვიძლია უკრაინის ევროკავშირთან დასაახლოებლად“,** – განაცხადა ტიმერმანსმა. მისივე თქმით, აუცილებელია, ევროკავშირმა რაც შეიძლება მალე დაიწყოს უკრაინას ევროკავშირში გაწევრიანების წინა პროცესი, რა დროსაც ბრიუსელი კიევს რეფორმების გატარების პროცესში და ახალი კანონების ამოქმედებაში დაეხმარება.

# ბუნებრივი აირით შანტაჟი ჩაიშალა

**„2023 წლის ზამთრის ბოლოს, გერმანიის გაზის საცავი უფრო სავსე იქნება, ვიდრე იყო 2022 წლის ზამთრის ბოლოს. ნორმალური ტემპერატურის პირობებში, საცავი ავზები 65%-ით სავსე იქნება მარტის და აპრილის ბოლოს“.**

გერმანიაში გაზის საცავები ამჟამად დაახლოებით 91%-ია. ამის მიზეზი ენერგიის მოხმარების შემცირება და დამატებითი იმპორტია რუსული ბუნებრივი აირის ჩასანაცვლებლად.

* * *

**ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანა მთლიანად ან დიდწილად იყო დამოკიდებული რუსეთის ბუნებრივ აირზე. უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობამ რუსულ ბუნებრივ აირზე დამოკიდებულების შემცირება დაიწყო.**

**2022 წლის 25 აგვისტოს ევროპაში გაზის ფასმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. 2022 წლის დეკემბერში ევროკავშირის ქვეყნების ენერგეტიკის მინისტრები შეთანხმდნენ გაზის ზღვრული ფასის დაწესებაზე. 2022 წლის 28 დეკემბერს ევროპაში გაზის ფასი ომამდელ დონემდე დაეცა. 2023 წლის 6 იანვარს გერმანიის ვიცე-კანცლერმა რობერტ ჰაბეკმა განაცხადა, რომ პუტინმა წააგო გაზით შანტაჟი.**

იური მეჩითოვის ფოტო



# სერგო ფარაჯანოვი – ორი ერის საამაყო თბილისელი

(პირველი გვერდიდან)

„თავის დროზე ვმუშაობდი საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავჯდომარედ. ვიყავი პარტიულ სამუშაოზე, მქონდა ორნაირი კავშირი კინოსთან – პირდაპირიც და ირიბიც, აგრეთვე კინო მოღვაწეებთან, ქართულ ხელოვნებასთან და ქართულ კულტურასთან.

რა თქმა უნდა, მაშინ სხვა ეპოქა იყო, დღევანდელობისგან განსხვავებული. თავისუფლების ხარისხი ახლა უფრო დიდია, თუმცა ხელის შეწყობა სახელმწიფოსა და მმართველი ძალების მხრიდან კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებისადმი იყო უფრო დიდი და მგრძნობიარე. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მხრიდან კულტურის სფეროსადმი, კინოსადმი კი გამორჩეულად, კონტროლი სერიოზული იყო. ეს თავისებურად დაღს ასვამდა ამ დარგების განვითარებას.

იმ პერიოდში შეიქმნა ბევრი სახელოვნებო შედევრი, მათ შორის კინოში.

ცნობილია იმ პერიოდის ქართული კინოს ფენომენი, რომელიც აღიარებული იყო და არის არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, არამედ ევროპაშიც.

გვინდა თუ არ გვინდა ჩვენ, ამ პერიოდის, ამ ეპოქის დიდი კინორეჟისორების ჩამონათვალში, ვერცერთ შემთხვევაში ვერ ავცდებით ერთ გვარს, ფენომენს, რომელსაც ეძღვნება ეს წერილი. ეს არის სერგო ფარაჯანოვი.

უნდა გითხრათ, რომ მედალს ორი მხარე აქვს. რამდენადაც დიდი იყო მისი პოპულარობა, აღიარება კინომოღვაწეთა შორის, საერთოდ კულტურის სფეროში, იმდენად რთული იყო მისი ურთიერთობა ხელისუფლებასთან. განსაკუთრებით, ხელისუფლების ერთ სტრუქტურასთან, რომელსაც ერქვა სახელმწიფო უშიშროების სამსახური. ამ ორგანოზე თავისი შეხედულებები, მასთან სპეციფიკური დამოკიდებულება ჰქონდათ კულტურის მოღვაწეებს. ეს იყო, რბილად რომ ვთქვათ, რიდი.

უშიშროების სამსახური თვლიდა, რომ ფარაჯანოვი არ იყო საბჭოთა მენტალიტეტის ადამიანი. ეს არცაა გასაკვირი და არც უნდა ყოფილიყო გასაკვირი, მაგრამ ისინი, ამავე დროს, თვლიდნენ, რომ ფარაჯანოვის ცხოვრების სტილი(!) მეტ-ნაკლებად მიუღებელი იყო ჩვენი საზოგადოებისთვის.



ფილმის გადაღებისას...

ხაზგასმით ვამბობ, რომ ეს იყო მათი აზრი და პოზიცია, თუმცა ამ აზრის მიმართ საზოგადოებაში ერთსულოვნება არ იყო. განსაკუთრებით, საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც კულტურის სივრცეში პროფესიულად იღვწოდა.

ამ ვითარებიდან გამომდინარე, ბევრი ფრთხილობდა ამ პიროვნებასთან ურთიერთობაში, ცდილობდნენ არ გამოეჩინათ ზედმეტი ინტერესი, რათა უშიშროების სამსახურს არ ჩაერიცხა ისინი იმ არასასურველ პიროვნებათა სიაში, რომელსაც მომავალში გართულებები არ აცდებოდა.

ეს შესავალი იმიტომ დამჭირდა, რომ ეს ვითარება მთელი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ფარაჯანოვის თანამგზავრი გახლდათ, მისგან გამომდინარე ადეკვატური შედეგებით.

რა თქმა უნდა, ჩემთვის ყოველივე ეს ცნობილი იყო და, წესით, არსებული რეალობა საჭიროების შემთხვევაში უნდა გამეთვალისწინებია. ეს ასეც მოხდა.

სერგო ფარაჯანოვთან ორი პირადი და ორი არაპირდაპირი შეხება მქონდა. პირველი შეხვედრა შედგა სამოცდაათიანი წლების შუა პერიოდში, როცა ჩემი თანამდებობრივი მდგომარეობის გამო, მე ვიყავი ახალგაზრდული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. ვიყავი იმ კომისიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც იღებდა გადაწყვეტილებას ჩვენი მოქალაქეების უცხოეთში გამგზავრებაზე. როგორც წესი ოთხმოცი, ოთხმოცდაათი პროცენტი ამ განხილვებისა მთავრდებოდა ჩვენი მოქალაქეებისთვის დადებითად, ისინი იღებდნენ თანხმობას და ხელის შეწყობას უცხოეთში გამგზავრებაზე. მაგრამ იყო გარკვეული ნაწილი, შედარებით მცირე, ვისაც ეუბნებოდნენ უარს. ეს უარი იყო დაფუძნებული მხოლოდ და მხოლოდ უშიშროების სახელმწიფო სამსახურის ინფორმაციაზე, თხოვნაზე, რეკომენდაციაზე და ერთ-ერთი ასეთი სხდომის დროს წამოიჭრა საკითხი, ფარაჯანოვთან დაკავშირებით.

იმ კომისიის წევრები საკმაოდ განათლებული და ინფორმირებული ადამიანები გახლდნენ, საკმაოდ მაღალი თანამდებობების, რომლებიც მეტნაკლებად იცნობდნენ ფარაჯანოვის შემოქმედებას და მის გარშემო შექმნილ ვითარებას.

შესაძლოა პიროვნულად არც ერთი, მათ შორის მეც, არ ვიცნობდით მაესტროს. ჩვენი ძირითადი ინფორმაცია შემოიფარგლებოდა სწორედ იმ რეკომენდაციებით, რასაც აწვდიდა ამ კომისიას უშიშროების სამსახური.

სწორედ კომისიის ამ სხდომაზე ეთქვა უარი ფარაჯანოვის წარმომდგენ ორგანიზაციას.

მახსოვს, რომ ამ კომისიის წევრებიდან მხოლოდ ორად-ორი ადამიანი იყო, ვინც გამოხატა ეჭვი იმის გამო, რა უფრო მოუტანდა საქართველოს ვნებას, ფარაჯანოვის საზღვარგარეთ გაშვება თუ არ გაშვება. ამ ორიდან ერთი მე გახლდით. ვთქვი, რომ ნებისმიერი აკრძალვა საზღვარგარეთ წასვლაზე, ისეთი გახმაურებული პიროვნებისთვის, როგორიც ფარაჯანოვია, მოიტანდა უფრო ნეგატივს, ვიდრე პოზიტივს. შიში იმისა, რომ ის დარჩებოდა საზღვარგარეთ საცხოვრებლად, არ იყო მაინცადამაინც გასათვალისწინებელი ერთი რამის გამო, ფარაჯანოვზე არანაკლები მოღვაწეები, მაგალითად, ნურიევი, ბარიშნიკოვი, სხვები დარჩნენ და არ დანგრეულა ქვეყანა. თუ დარჩება და დარჩეს-მეთქი. თუ არ უნდა და არ უნდა.

ეტყობა, მე ახალგაზრდულად ძალიან მარტივად ვუყურებდი, ისე ყველა „გენიალურობა" სიმარტივეშია, მე რომ მკითხოთ...

მაშინ როგორ წარმოვიდგენდი, რომ გავიდოდა თხუთმეტი წელი და ფარაჯანოვის საზღვარგარეთ გაშვება-არგაშვების საკითხი ისევ აქტუალური გახდებოდა.

1988 წლის ზაფხულში, ისევ წამოიჭრა ეს თემა იმ კომისიაზე. მე უკვე სხვა პოზიციაზე გახლდით, ანუ, როგორც ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამ სტრუქტურის თავჯდომარე ვიყავი.

ამჯერად საკითხი სხვა კუთხით იდგა. ფარაჯანოვს კი აძლევდნენ თანხმობას გამგზავრებაზე, მაგრამ იბლოკებოდა მისი სავარაუდო თანამგზავრი. ის არავის არ ედარდებოდა, ჩვეულებრივი ახალგაზრდა ბიჭი იყო, რომელიც ეხმარებოდა ფარაჯანოვს, არ ვიცი, ოპერატორი იყო, მაგრამ ფარაჯანოვი კატეგორიულად უარს აცხადებდა მის გარეშე წასვლაზე.

ძალიან დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა იმას, რომ უშიშროების სამსახური იმ ბიჭუნას დაბლოკვით, ფაქტიურად ფარაჯანოვს ეუბნებოდა უარს. უშიშროების სამსახურის ამ პოზიციას ჰქონდა მხარდაჭერა კომისიის წევრებში, მაგრამ მე ვისარგებლე ჩემი პრაქტიკული მდგომარეობით – ამ კომისიის თავჯდომარეობით და ერთმნიშვნელოვნად დავიჭირე პრინციპული პოზიცია: ფარაჯანოვი საზღვარგარეთ უნდა წავიდეს! აქვე ვიხუმრე, რომ არ მინდა შევიდე ისტორიაში ისეთ ბედოვლათ პარტჩინოვნიკად, რომელმაც აუკრძალა ფარაჯანოვს საზღვარგარეთ წასვლა. ამ გადაწყვეტილებას ხელი მოვაწერე და...

რა თქმა უნდა, ამ „ისტორიას" ღიმილით ვყვები ახლა, მაგრამ მაშინ არ იყო ეს მთლად მარტივი და ღიმილის მომგვრელი პრობლემა და ვითარება. და ეს რომ ასე იყო, სულ მალე დადასტურდა:

ფარაჯანოვი მაინც ვერ წავიდა საზღვარგარეთ, ის დაიბლოკა მოსკოვში, შესაბამისი საკავშირო ორგანოების მიერ.

ამ ჩემმა პოზიციამ, იმ დროინდელ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას რაღაცნაირად ნამუსი მოწმინდა. ასევე, ფარაჯანოვმა იგრძნო, რომ საქართველოში იგი მთლად „უპატრონო" არ იყო, რომ შევარდნაძისდროინდელ მფარველობას მისი შემცვლელი ხელმძღვანელობა აგრძელებდა.

ახლა მე წინ გავუსწარი მოვლენებს და დავუბრუნდები უშუალო კონტაქტის თემას.

ეს შეხვედრაც არ ყოფილა ჩემი ინიციატივა. ერთ მშვენიერ დღეს დამირეკა ე.შევარდნაძემ, რომელიც მაშინ იყო რესპუბლიკის პირველი პირი და მკითხა, შენ – ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარეს, გაქვს თუ არა წარმოდგენა ვინ არის ფარაჯანოვი. წყენას თავი რომ დავანებოთ, ცოტა არ იყოს მისგან ეს შეკითხვა კი გამიკვირდა, მაგრამ... გაუხარდა, თურმე შენ მგონი ჩემზე ბევრი გცოდნიაო.

– აი, ჩემთან არის ფარაჯანოვის უახლოესი მეგობარი და მფარველი ეთერ გუგუშვილი და მაგულიანებს შენთან დარეკვას, რომ გთხოვო ფარაჯანოვისთვის დახმარებაო.

...ერთი სიტყვით, საკმაოდ ბევრი მელაპარაკა შექმნილ ვითარებაზე, როცა ტალანტი მოქცეული იყო მარწუხებში და იჯდა უქმად.

ქალბატონ ეთერ გუგუშვილთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა. ეს იყო უვაჟკაცესი ქალი, ინტელექტუალი, თეატრალური ინსტიტუტის (მაშინ ასე იწოდებოდა) რექტორი, ცნობილი ქართველი კრიტიკოსის ბესო ჟღენტის მეუღლე.

გარდა პირადული ურთიერთობისა, ვთანამშრომლობდი კიდეც მასთან.

ეს ის პერიოდია, როცა ჩემი ინიციატივით თეატრალურ ინსტიტუტში გაიხსნა ტელევიზიის სარეჟისორო სპეციალობა. ჩვენ საკავშირო დონეზე მოვიძიეთ საჭირო თანხები, ტელევიზიას და რადიოს მოვაკელი ბიუჯეტიდან ფული და დავაფინანსეთ ამ სპეციალობის დაარსება თეატრალურ ინსტიტუტში. ასევე, ჩვენს თანამშრომლებს –- ქართული ესტრადის ამომავალ ვარსკვლავებს გზა გაეხსნა შესაბამის ფაკულტეტზე სწავლებისთვის. მაგრამ, ფარაჯანოვისთვის მხარდაჭერას თუ არ ექნებოდა უმაღლესი პოლიტიკური „ქოლგა", მარტო ჩემი კეთილგანწყობა ვერ იკმარებდა.



ლეგენდარული მასტროიანი სტუმრად ფარაჯანოვთან



თამადად საკუთარ „ქელეხში“

ასე რომ, ქალბატონმა ეთერიმ სწორად გათვალა მისი თხოვნის შესრულების პერსპექტივა, მიმართა შევარდნაძეს, თან ფსონი დადო ჩვენს პარტნიორულ და პიროვნულ ურთიერთობაზე...

ეს ის პერიოდია, როცა ფარაჯანოვი ყრუდ არის დაბლოკილი, მას არ აძლევენ ფილმს გადასაღებად. შევარდნაძემ სწორედ ეს მითხრა, ეგებ გამოვიყვანოთ ეს უნიჭიერესი კაცი ამ ჩაკეტილი სივრციდან და მოიფიქრო რამე, რომ მან რაიმე ფილმი გადაიღოსო... მიმანიშნა, რომ ჩვენი მხრიდან ამ თბილისელი სომეხი კაცისთვის მხარდაჭერა, საქართველოს მეზობელ ქვეყანასა და კინო-სამყაროში მეგობრებს მოუმრავლებს და...

ყოველივე ეს არ ჩათვალო მარტო ქალბატონი ეთერის სურვილად, თხოვნად და, მისთვის ჩვეული გურული იუმორით დაამატა: მეც გავერევი მაგ მარაქაში და ჩემს პირად თხოვნად ჩათვალე ეს სატელეფონო ზარიო...

ბუნებრივია, შევარდნაძეს შეუძლია დამავალოს, მაგრამ ძალიან კარგად იცის, რომ ოფიციალური გზებით, მაგიდაზე ხელის დარტყმით, მოთხოვნით, პარტიული დისციპლინით, არაფერი არ კეთდება ეგეთ დროს.

იყვნენ ორგანოები და სტრუქტურები, უწინარესად, მოსკოვში – კინემატოგრაფიის კომიტეტი და ტელევიზია, რომლებიც კატეგორიული წინააღმდეგები იყვნენ გამოეყენებინათ სერგოს ტალანტი, ნიჭიერება და უმალ დაიბლოკებოდა ფარაჯანოვთან დაკავშირებული ნებისმიერი ინიციატივა.

შევარდნაძემ ყველაზე კარგად იცოდა ფილმის პარტიზანულად გადაღების ჩვენეული „გამოცდილება“. სხვათა შორის, სწორედ მაშინ მიმდინარეობდა „მონანიების“ სწორედ „პარტიზანულად“ გადაღება, რომელიც საქტელერადიოს დაკვეთით ხდებოდა კინოსტუდია „ქართული ფილმში“.

ყველა რისკი, პასუხისმგებლობა, როგორც იტყვიან, ამ ფილმის მთელი ავან-ჩავანი, ტელევიზიის და რადიოს სახელმწიფო კომიტეტზე, ანუ, ჩემზე გადადიოდა, მიუხედავად მოსკოვური სტრუქტურების აკრძალვისა და დაფინანსების არარსებობისა. ასე რომ, მარყუჟში თავი გაყოფილი იყო და მნიშვნელობა აღარ ჰქონდა ერთი ფილმისთვის „ჩამომახრჩობდნენ“ თუ ორისთვის.

დავპირდი, შევეცდები, რამე მოვიფიქრო-მეთქი. მე და ქალბატონი ეთერი შევხვდით. დავაზუსტეთ რაღაც დეტალები, ზოგიერთი ისეთი რამ, რაც არ ვიცოდი. მე ვუთხარი, ნებისმიერ დროს ბატონ სერგოს შეუძლია მობრძანდეს ტელევიზიაში, შევხვდები, ვისაუბრებთ. თუ დამპატიჟებს, მე მივალ, რომ არ იფიქროს, არიქა, აქეთ უნდა მეახლოს.

და ერთ მშვენიერ დღეს, ქალბატონმა ეთერიმ დამირეკა და მითხრა, როდის შეიძლება ბატონ სერგოსთან შეხვედრაო? მე ვუთხარი, თუ უნდა ახლა მოვიდეს, გადავდებ ყველაფერს და შევხვდები. ამით კიდევ ერთხელ ვადასტურებდი ჩემს პატივისცემას სერგოსადმი.

მოვიდა სერგო. ძალიან კარგი, საინტერესო,თბილი შეხვედრა გვქონდა. საერთო ენაც მოვძებნეთ. ეს მინისტრის და რეჟისორის შეხვედრა კი არ იყო, არამედ იმ ორი ადამიანისა, რომლებიც დაინტერესებული არიან პრობლემის გადაჭრით. მივედით ერთადერთ დასკვნამდე: სერგო არ იყო მზად ფილმის გადასაღებად.

რა გაგებით არ იყო მზად? სცენარი არ ჰქონდა და ფილმის გადაღების მისი სურვილი ჯერ მხოლოდ ფანტაზია გახლდათ.

შევთანხმდით, რომ თვენახევრის შემდეგ შევხვდებოდით და მოვილაპარაკებდით უკვე კონკრეტულად.

სერგოს ჰქონდა არჩევანი რამდენიმე სცენარისა, როგორც თვითონ მითხრა, მე მოვიფიქრებო. მე კი მოვთხოვე, სცენართან ერთად წარმოედგინა დაახლოებითი ხარჯთაღრიცხვა და მივეცი პირობა, რომ დანარჩენი ყველაფერი გადაწყვეტილი იქნებოდა. იქვე დავამატე:

რაც არ უნდა დიდი ფანტაზია და სურვილი გქონდეს, თუ ფული არ არის, ვერ გადაიღებ ვერაფერს-მეთქი.

ამ ნათქვამმა ერთობ გაახარა და ერთი საინტერესო ფრაზა მითხრა: – მე აქედან ძალიან კმაყოფილი წავალ ამ ბოლო წინადადებით, რადგან, შენ იმდენად გინდა, რომ მომეხმარო, უკვე ხარჯთაღრიცხვაზე მელაპარაკებიო. ორივეს გაგვეცინა.

თვენახევარში დამირეკა და მოვიდა. შევატყვე, რომ რაღაცის თქმა ერიდებოდა... ბოლოს მითხრა: კიევის კინოსტუდიიდან მაქვს წინადადება უკრაინას ცოტა მეტი გაბედულება და მეტი საშუალება აქვს და მე მივიღე ეს წინადადებაო. უნდა გავფრინდე კიევს და არ ვიკადრე უშენოდ წასვლა. ჯერ მინდა საქმის კურსში ჩაგაყენო, რომ ჩემ გარშემო ასეთი რამე ხდებაო...

ვუპასუხე: გზას დაგილოცავ, მაგრამ იცოდე და ამის ვაჟკაცურ სიტყვას გაძლევ: რომ ჩვენი მოლაპარაკება ძალაში რჩება. გამოგივა უკრაინაში ეს საქმე, კეთილი და პატიოსანი, სიხარულის მეტი რა შეიძლება მომიტანოს ამ ინფორმაციამ და თუ არ გამოგივა, იცოდე, რომ შენს ზურგს უკან დგას საქართველო, შევარდნაძე, ეთერ გუგუშვილი და, ბოლო-ბოლო, ტელე-რადიოკომიტეტი-მეთქი... რა თქმა უნდა, ჩვენ არა ვართ ისეთი თავისუფლები, რომ როგორც გვსურს ისე ვიქცეოდეთ, მაგრამ იცოდე, რომ ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ შენ ფილმი გადაიღო. ამას, როგორ მოვახერხებ, ეს სხვა თემაა, ეს შენი პრობლემა არ არის-თქო...

ძალიან გახარებული წავიდა და რამდენადაც ვიცი, უკრაინაში მან ფილმი გადაიღო. აი, ეს იყო ჩემი კონტაქტი ფარაჯანოვთან. ერთიორჯერ შემომითვალა მოკითხვა ქალბატონი ეთერის საშუალებით, შემდეგ სხვების მეშვეობითაც.

მოსკოვში ერთ-ერთი ვიზიტის დროს დამხვდა წინ მისი მონაყოლიც, სავსე სიკეთით და თბილად განწყობილი ჩემდამი კომპლიმენტი: არ ჰგავს ვიღაც ჩინოვნიკებსო.

ეს იყო და ეს.

რა თქმა უნდა, სერგო იყო დიდი ხელოვანი, დიდი ოსტატი, ნამდვილი მაესტრო.

საინტერესოა მისი მეგობრობა და ურთიერთობა სოფიკო ჭიაურელთანაც. სოფიკო და კოტე მახარაძე ჩემი უახლოესი ადამიანები იყვნენ და რაღაცები იმათგანაც ვიცოდი.

ერთი სიტყვით, სხვა(!) დრო იყო. ამ სხვა დროში ის ეძებდა თავის ადგილს და, ვგონებ, იპოვა კიდეც. ის იყო თავისუფალი(!) ადამიანი. ამ სიტყვის ზემაღალი გაგებით. და ამ თავისუფლებას ზოგჯერ მაინც სჭირდებოდა, ასე ვთქვათ, რაღაც „ხარკის“ გადახდა და ეს „ხარკი“ გაიღებოდა ხან შემოქმედების მხრიდან, ხან „სხვა“ რამით, თუნდაც „მოძრაობის“ შეზღუდვით...

და მაინც, ყველა წინააღმდეგობის და ყველა სიძნელის მიუხედავად, რეალობას მოევლინა იმ ეპოქისა და იმ წყობისთვის განსხვავებული დიდი კინო, რომლის ავტორი სერგო ფარაჯანოვი გახლდათ და იგი დარჩა საქართველოს კულტურული ცხოვრების ისტორიასა და მსოფლიო კინემატოგრაფში, როგორც ერთ-ერთი უნიჭიერესი, უშველებელი ტალანტის მქონე ადამიანი.



**ნუგზარ ფოფხაძე**

# ასე ადვილად რატომ იჯერებენ ადამიანები ყალბ ახალ ამბებს?




**ყალბი ახალი ამბები განსაკუთრებით აქტუალური კოვიდ-პანდემიის დროს იყო, ახლა კი ხშირია უკრაინის ომთან დაკავშირებული ცოცხალი ტყუილები. თუმცა, ვინ იჯერებს მათ და რატომ? მკვლევრებმა შეთქმულების თეორიასა და „პიროვნების ბნელ ტრიადას“ შორის კავშირი იპოვეს. რას ნიშნავს ეს, DEUTSCHE WELLE-მ გაარკვია.**

### რა ხდება?

**„COVID-19-ის პანდემია მხოლოდ პოლიტიკური ელიტების გამონაგონია, რათა შეიზღუდოს ძირითადი უფლებები და დაიმონონ ადამიანები. ნიღბები კი არ გიცავთ, პირიქით, ცუდად გხდით. აცრა კი კლავს“ - ასეთი განცხადებები პანდემიის დროს სოკოსავით იყო მომრავლებული და მათ თავიანთი მხარდამჭერები ჰყავდათ. თანამედროვე ფსიქოლოგები აქტიურად სწავლობენ, თუ ვის სჯერა ყალბი ახალი ამბების?**

დეზინფორმაციასა და შეთქმულების თეორიებს ბევრი სპეციალისტი სწავლობს. ერთ-ერთი მათგანია იან ფილიპ რუდლოფი, რომელიც არის ფსიქოლოგი და ვიურცბურგის იულიუსისა და მაქსიმილიანის უნივერსიტეტის კომუნიკაციისა და ახალი მედიის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის მკვლევარი. „შეთქმულების თეორიის კლასიკური მიმდევრის დახასიათება რთულია“, – ამბობს ის. თუმცა მაინც არის რაღაც, რაც შეთქმულებისა და ყალბი ამბების მოყვარულებს აერთიანებს. „ეს არის გარკვეული გაგება იმისა, თუ რა არის „ცოდნა“ და რა არის „ფაქტი“. მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ე.წ. ეპისტემურ მიდგომას შეუძლია შეთქმულების თეორიებისადმი ნდობის ფაქტორი ახსნას.

ეპისტემური მიდგომა არის ადამიანის ინდივიდუალური რწმენა ცოდნასა და მის მიღებასთან მიმართებით. ზოგიერთი ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, თავის ინტუიციას ენდობა. ეს თავისთავად პრობლემა სულაც არ არის, მაგრამ მათ ნაკლებად აქვთ ინტერესი, თავიანთი ინტუიცია მყარი არგუმენტებით განამტკიცონ. მათ მიაჩნიათ, რომ მოსაზრებები ფუნდამენტურად თანაბარია, მიუხედავად იმ მეცნიერული მტკიცებულებებისა, რომელთაც შეიძლება უფრო მეტად გაამყარონ ერთი თეზისი, ვიდრე – მეორე.

თავის პირველ კვლევაში რუდლოფსა და მის კოლეგებს სურდათ გაეგოთ იმ ადამიანების მიდგომები, რომელთაც კორონავირუსის შესახებ შეთქმულების თეორიების სჯეროდათ. საამისოდ კი მათ გერმანიასა და შეერთებულ შტატებში 2000-ზე მეტი ადამიანი გამოჰკითხეს. **„ისინი, ვინც თავიანთ ინტუიციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, მყარ მტკიცებულებებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და თვლიან, რომ „სიმართლეს“ „ძლიერნი ამა სოფლისანი“ ქმნიან. ეს ჯგუფი განსაკუთრებით მოწყლვადია ყალბი ამბებისა და შეთქმულების თეორიების მიმართ“,** – აჯამებს თავის კვლევას რუდლოფი.

მეცნიერებმა სხვა თეორიაც განიხილეს. სჯერათ თუ არა დეზინფორმაციისა და შეთქმულების თეორიების იმ ადამიანებს, რომელთაც ძლიერი პიროვნული თვისებები აქვთ და როგორც წესი, მათ ფსიქოლოგიაში „ბნელ ტრიადას“ უწოდებენ?

### რას ნიშნავს „ბნელი ტრიადა“?

**„ნარცისიზმი, მაკიაველიზმი და ფსიქოპათია ბნელი პიროვნული თვისებების სამი ყველაზე ცნობილი მაგალითია“,** – განმარტავს რუდლოფი. ეს ის მახასიათებლებია, რომლებიც ამა თუ იმ ხარისხით ყველა ადამიანს აქვს თანდაყოლილი. მაშინ, როდესაც ძლიერი ნარცისული თვისებების მქონე ადამიანებს ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვართ, გამოხატული მაკიაველიზმის მქონე პირებს განსაკუთრებით სტატუსი და ძალაუფლება აწუხებთ. ფსიქოპათებს კი რისკის შემცველი და იმპულსური ქცევა ახასიათებთ.

რაც უნდა განსხვავებული და თავისებური იყოს ბნელი ტრიადის „სამი მოთამაშის“ მახასიათებლები, მათ აქვთ საერთო ბირთვი. **„ეს იწვევს ქცევას, რომელიც საკუთარი თავისთვის მაქსიმალური სარგებლის მოპოვებისკენ არის მიმართული“,** – ხაზს უსვამს ექსპერტი.

**„შევეცადეთ გაგვერკვია, განაპირობებს თუ არა ამგვარი ქცევა ინფორმაციის აღქმის გარკვეულ გზასა და მის შემდგომ დამუშავებას“,** – ამბობს ფსიქოლოგი. **არის თუ არა მნიშვნელოვანი, რა არის სიმართლე და რა – არა იმ ადამიანებისთვის, რომელთათვისაც პირადი ინტერესებია პრიორიტეტული? მკვლევრებმა გამოიყენეს სპეციალური ტესტი, რათა გამოკითხულ ადამიანებში ბნელი პიროვნული თვისებების პროპორცია გაერკვიათ.**

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ **„რაც უფრო მაღალია ბნელი პიროვნული თვისებების ფაქტორი, მით უფრო სავარაუდოა, რომ ესა თუ ის კონკრეტული ადამიანი შეთქმულების თეორიას დაიჯერებს“,** – ამბობს რუდლოფი ტესტის შედეგებზე დაყრდნობით. მიღებული შედეგები მას არც გაჰკვირვებია, რადგან ყველაფერი ისედაც აშკარა იყო. რუდლოფის განმარტებით, როგორც წესი, ეს ადამიანები არ არიან მიდრეკილი პროსოციალური ქცევისკენ, რომელიც სხვა ადამიანებისთვის სასარგებლო ქმედებებით ხასიათდება. პირიქით, მათი უპირველესი მიზანია პირადი სარგებელი. დისტანციის დაცვა, ნიღბის ტარება ან რესპირატორული სიმპტომების შემთხვევაში სახლში დარჩენა მსგავსი ტიპის ადამიანებისთვის აუცილებელი სულაც არ არის. თუ მათ ინტუიცია ეუბნება, რომ ვირუსი საშიში სულაც არ არის და პანდემია ნებისმიერ შემთხვევაში მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკური იარაღია, მაშინ მათთვის პანდემიის შემაკავებელი ზომებიც ზედმეტია.

ფსიქოლოგების განმარტებით, ეპისტემური მიდგომები ბავშვობაში ყალიბდება. ამიტომაც მნიშვნელოვანია მათი ანალიზი და შესწავლა ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში. ასე რომ, შეხედულებებსა და ფაქტებს შორის არსებული განსხვავება შეიძლება სასკოლო გაკვეთილებზე, ბავშვებისთვის გასაგები ენითაც აიხსნას. იან ფილიპ რუდლოფს მაგალითად მოჰყავს კლიმატის კრიზისი: კლიმატის მკვლევართა 97% ამბობს, რომ აღნიშნული კრიზისი ადამიანის აქტივობით არის გამოწვეული. მათ დააგროვეს ამ თეზისის გამამყარებელი მტკიცებულებები, რომლებშიც ეჭვი ცოტა ვინმეს თუ ეპარება. **„ამ შემთხვევაში უკვე აღარ შეიძლება იმის თქმა, რომ ვინმეს განსხვავებული აზრი აქვს“,** – ხაზს უსვამს ექსპერტი. მისი თქმით, ადამიანების უმეტესობისთვის მნიშვნელოვანია მტკიცებულებები და მოსაზრებებსა და ფაქტებს შორის განსხვავება მათ კარგად ესმით.



**უკვე ნახევარ წელიწადზე მეტია, „პუტინის მზარეულის", ევგენი პრიგოჟინის კერძო ჯარი უკრაინის აღმოსავლეთით მდებარე ბახმუტის აღებას უშედეგოდ ცდილობს. სტრატეგიული მნიშვნელობის პატარა ქალაქი გამუდმებით იბომბება.**

# რატომ ანადგურებს „პუტინის მზარეული" პრიგოჟინი ბახმუტს, სადაც ქართველი მებრძოლებიც იღუპებიან

სამხედრო ექსპერტები ამბობენ, რომ ბახმუტში გამარჯვება პრიგოჟინისთვის პრესტიჟის საქმეა. ოდესღაც დონეცკის ოლქის ამ ქალაქში ცქრიალა ღვინოს ასახმდნენ, დღეს კი იქ იმდენად სასტიკი ბრძოლებია, რომ უკრაინელებიცა და რუსებიც მას „ხორცსაკეპს" ეძახიან.

უკრაინაში ომის დაწყებამდე ქალაქში 70 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა, ახლა რამდენიმე ათასიღაა დარჩენილი. იანვრის დასაწყისში, საოლქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პაველ კირილენკომ თქვა, რომ განადგურებულია ბახმუტის ინფრასტრუქტურის 60%-ზე მეტი.

მეზობელ ქალაქებზე, ბახმუტსა და სოლედარზე თავდასხმები 2022 წლის მაისში დაიწყო. იქიდან მოყოლებული, რუსეთი უტევს არა მხოლოდ არტილერიით, არამედ ქვეითი ჯარითაც, რის გამოც, სხვადასხვა მონაცემებით, უკვე ასეულობით ჯარისკაცი დაკარგა. „ქალაქი მოფენილია გვამებით, რომელიც მოწინააღმდეგეს არ გააქვს. ისინი, პირდაპირი მნიშვნელობით, საკუთარი ჯარისკაცების გვამებზე დადიან" – უთხრა დეკემბერში უკრაინელმა ოფიცერმა გამოცემა „ქარენთ თაიმსს".

## რატომაა ბახმუტის აღება მნიშვნელოვანი?

**სამხედრო ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ბახმუტის აღებით, რუსეთი გაწყვეტს კავშირს უკრაინული ჯარის ორ ფლანგს შორის და ასევე გაიმარტივებს თავდასხმას კრამატორსკსა და სლავიანსკზე, ორ ინდუსტრიულ ქალაქზე, რომელზეც რკინიგზა გადის.**

მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაცია, ომის შემსაწვლელ ინსტიტუტში (ISV) მიაჩნიათ, რომ ეს სარგებელი მეტისმეტად მწირია, იმ დანაკარგებთან შედარებით, რასაც რუსეთი ბახმუტთან ბრძოლებისას განიცდის.

ეს დანაკარგები **„გადაწონის ნებისმიერ ოპერატიულ უპირატესობას, რომელსაც რუსები ბახმუტის აღებით მიიღებენ"** – განაცხადა ISW-მ ჯერ კიდევ ნოემბერში.

ბახმუტზე ასეთი ფიქსაციის მიზეზი პოლიტიკური შეიძლება იყოს. რუსეთმა უკვე განიცადა არაერთი მარცხი აღმოსავლეთ უკრაინაში, დაკარგა რამდენიმე სტრატეგიული ქალაქი და ამიტომ, პროპაგანდას სჭირდება კარგი ამბები.

**„რუსეთს სურს აჩვენოს, რომ შეუძლია, დაიპყროს ყველა ტერიტორია, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის"** – უთხრა ავსტრიელმა გენერალმა, ვალტერ ფაიხტინგერმა დეკემბერში „დოიჩე ველეს".

## პრიგოჟინის ამბიციები

**ISV, ისევე, როგორც აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის დაზვერვა, არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა საქმე, რუსი ოლიგარქის, ევგენი პრიგოჟინის პირად ამბიციებშია.**

პრიგოჟინი კერძო სამხედრო დაჯგუფების, „ვაგნერის" მფლობელია. თავდაპირველად, მისი „ვაგნერი" სირიაში იბრძოდა, გაზაფხულიდან კი უკრაინაში. სხვადასხვა ცნობების თანახმად, პრიგოჟინი ახალი რეკრუტების მოსაძებნად პირადად ჩადის ციხეებში. უკვე დიდი ხანია, პრიგოჟინი ამტკიცებს, რომ ბახმუტის აღებას მხოლოდ „ვაგნერი" ცდილობს. ამას ადასტურებენ, როგორც უკრაინა, ისე დიდი ბრიტანეთის დაზვერვა.

3 იანვარს გავრცელებულ ვიდეოში, პრიგოჟინი ამბობს, რომ ბახმუტზე შეტევა დამქანცველია, რადგან ყოველი სახლი „ციხესიმაგრედაა" ქცეული, უკრაინელები კი „ყოველ 10 მეტრში" არიან გამაგრებულები. **აქედან პირველი ვარაუდი: პრიგოჟინს სურს, პუტინს დაუმტკიცოს – სანამ რუსეთის რეგულარული არმია მარცხდება, მისი ჯარი წარმატებას აღწევს.**

მეორე ვერსიით, პრიგოჟინს გაცილებით უფრო მერკანტილური ინტერესი ამოძრავებს. 5 იანვარს, როიტერსმა, თეთრ სახლში მის წყაროზე დაყრდნობით დაწერა, რომ პრიგოჟინს აინტერესებს ბახმუტის სიახლოვეს მდებარე ევროპაში უდიდესი მარილის საბადო, რომლის ფართობიც 179 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს.

## სიმბოლური მნიშვნელობა

**რამდენიმე თვის წინ, „სიენენმა" დაწერა, რომ „ვაგნერის" წევრებს გააქვთ ოქრო სუდანიდან, იქაური ხუნტის დახმარებით. დეკემბრის ბოლოს კი, თეთრი სახლის წარმომადგენელმა, ჯონ კირბიმ თქვა, რომ აშშ-ის გამოთვლებით, უკრაინაში ომის წარმოება პრიგოჟინს თვეში დაახლოებით 100 მილიონი დოლარი უჯდება.**

**ვაშინგტონის მონაცემებით, ვაგნერმა 2022 წლის დეკემბრისთვის ომში დაახლოებით 50 ათასი მებრძოლი გააგზავნა. აქედან დაიჭრა 10 ათასი, 4100 კი დაიღუპა. მათგან ათასზე მეტი, ბახმუტისთვის ბრძოლაში.**

უკრაინა ბახმუტის დათმობას არ აპირებს. „ნიუ იორკ ტაიმსის" სტატიის თანახმად, თავდაპირველად უკრაინის პრეზიდენტს, ვოლოდიმირ ზელენსკის ეჭვი ეპარებოდა, რომ ქალაქის დაცვა „დღეში 100 ჯარისკაცის სიცოცხლეედ" უღირდა. მაგრამ ახლა ბახმუტმა უკრაინისთვის სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა. ომი უკრაინაში თითქმის 11 თვეა გრძელდება. ბახმუტისთვის ბრძოლა – 8 თვეზე მეტი. ეს ამ ომის ყველაზე გრძელი ეპიზოდია.

**სანდრო გვინდაძე,**
„რადიო თავისუფლების" ჟურნალისტი.

# ჩემს სოფელს არასდროს რქმევია ხიაცხა!



## ბრძოლა გეოგრაფიული სახელებისთვის აფხაზეთში

ზუსტად 10 წლის წინ სალომემ საგერიოში დაიძინა და აბერკიტში გაიღვიძა. გალის რაიონში მის მშობლიურ სოფელს, სადაც 2 400-მდე ადამიანი ცხოვრობს, დე ფაქტო ხელისუფლებამ სახელი 2013 წელს გადაარქვა.

**„ჩემს სოფელს არასდროს რქმევია აბერკიტი. თავიდან პაპინრხუა დაარქვეს და მერე შემთხვევით აღმოვაჩინეთ, რომ აბერკიტზე შეუცვლიათ. რა თქმა უნდა, მიუღებელია ჩემთვის. არა მგონია, ოდესმე დამკვიდრდეს, ორივე სახელი ძალიან არაბუნებრივად ჟღერს",** – გვეუბნება სალომე. ის და სხვებიც საუბარში ახლაც თავიანთ სოფელს ისევ ძველ მეგრულ სახელს, საზერიოს ეძახიან.

**13 წლის წინ აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტმა, იგივე ე.წ. სახალხო კრებამ გამოსცა დადგენილება, რომლის მიხედვით, 2013 წლის ბოლოსთვის გალის რაიონის 20-ზე მეტი სოფლის მეგრული და ქართული დასახელება აფხაზურით შეიცვალა. მაგალითად, ჭუბურხინჯი გახდა ხიაცხა, ნაბაკევი – ბათაიგუარა, დიხაზურგა – აბააკიტ, პირველი ოტობაია – ხაშტა, მეორე ოტობაია – ბგოურა.**

აფხაზურ პოლიტიკურ ელიტას მაშინ არგუმენტად ის მოჰყავდა, რომ ასე აღდგება – იაშტხუა, კელასური – აბგიძარა, ტამიში – ტამშ და ასე შემდეგ.

**„დევნილებად გამოძევებული მოსახლეობის ყოფილ საცხოვრებელ ზონებს, ისტორიული სამართლიანობის აღდგენისთვის, აფხაზური მხარე აფხაზურ სახელებს ანიჭებს. ის უფრო შორსაც მიდის და რეალურად უძველესი დროიდან არსებულ დასახლებებს, რომლებსაც მეგრული სახელები აქვს, აფხაზურად გადანათლავს ხოლმე... ეს არის წარსულით მანიპულირების ინსტრუმენტი, რადგან ჯგუფები აცხადებდნენ, რომ მათი სახელების ვერსია უფრო ძველი იყო და, შესაბამისად, ისინი იყვნენ კონკრეტული ტერიტორიის ძირძველი მოსახლეობა",** – ამბობს ისტორიკოსი ირაკლი ხვადაგიანი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიიდან.

**აფხაზურ-ქართული ტოპონიმები აფხაზეთში ვნებათაღელვის საფუძველი იყო საბჭოთა დროსაც. ჯერ კიდევ 1930-1950 წლებში მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებს აფხაზეთში სახელები თბილისის მოთხოვნით შეეცვალა.**

აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის დეპუტატისა და ენათმეცნიერის, ვალერი კვარჩიას თქმით, საბჭოთა პერიოდში, როდესაც აფხაზეთში სხვადასხვა კუთხიდან ჩასახლებულებმა ახალი ქართული დასახელებებიც ჩაიტანეს, ტოპონიმების 58% ქართულით შეიცვალა. სწორედ მის ინიციატივაზე დაყრდნობით მიიღო დე ფაქტო მთავრობამ 2013 წელს გადაწყვეტილება გალის სოფლებისთვის დასახელებების შეცვლის შესახებ. თავის მხრივ, ვალერი კვარჩია აღნიშნავდა, რომ გზამკვლევი მათთვის აფხაზეთში ქართველი მეცნიერის, პაატა ცხადაიას, კვლევები გახდა. 2013 წელს „ამერიკის ხმასთან" ინტერვიუში პაატა ცხადაია ამბობდა, რომ მისი ნაშრომების ხსენებით გაოცებული იყო, რადგან გალის სოფლებისთვის დარქმეული ახალი სახელების უმრავლესობა მას არც კი გაეგო.



ბოდა „ისტორიული სამართლიანობა". ამ გადაწყვეტილების შემდეგ გალის რაიონის სხვადასხვა დაწესებულებაზე: ადმინისტრაციულ შენობებზე, სკოლებსა და საბავშვო ბაღებზე, ბანკებზე, სოფლის ავტობუსებზე აფხაზური ტოპონიმები გაჩნდა.

**„ჩემმა 9 წლის შვილმა მკითხა: ჩვენს სოფელს ჭუბურხინჯი ხომ ჰქვია და სოფლის ავტობუსს ხიაცხა რატომ აწერიაო?",** – ჰყვება გალის რაიონის კიდევ ერთი მკვიდრი.

**„რა ჰქვია აგუარადუ?! არ ვიცოდი. ვიცი, რომ სახელი გადაერქვა, მაგრამ სანამ ცოცხლები ვართ, არა მგონია, ჩვენს სოფელს ახალი სახელი დავუძახოთ",** – ეუბნება „რადიო თავისუფლებას" ფართონოხორის მკვიდრი. გალის ამ სოფელში დაახლოებით 1 100 ადამიანი ცხოვრობს. ფართონოხორიც, დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, აგუარადუ გახდა.

აფხაზეთში ქართული ტოპონიმების შეცვლა 2013 წლამდე (სანამ ეს პროცესი ეთნიკურად ქართველებით დასახლებულ გალსაც შეეხებოდა) ბევრად უფრო ადრე დაიწყო. აფხაზეთის პირველმა დე ფაქტო პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ „ისტორიული სახელების დაბრუნებაზე" ბრძანებას გაგრის აღებისთანავე, 1992 წელს მოაწერა ხელი. ქართულ სოფლებს სწორედ მაშინ გადაარქვეს სახელები გაგრაში. ასევე სახელები შეუცვალეს ქუჩებს სოხუმში, გუდაუთაში, და სხვა რაიონებში. ომის შემდეგ განთიადი გახდა ცანდრიფში, ლიძავა – ლძაა, წებელდა – ცაბალ, ლესელიძე – გეჩრიფში, შრომა – გუმა, თავისუფლე-

**„ასეთი სახელები მე იქ საერთოდ არ გამიგონია. რაც სამურზაყანოს (გალის რაიონის ძველი სახელწოდება რ.თ.) სოფლებში აფხაზური იყო, არაფერი გამომიტოვებია, ლექსიკონში ყველაფერია. დიხაზურგა, საზერიო, ჭუბურხინჯი და სხვები ისტორიული სახელებია ილორამდე ანუ მდინარე ღალიძგის მარცხენა ნაპირამდე. იმის აქეთ, მდინარე ენგურამდე კი მთლიანად მეგრელები ცხოვრობდნენ",** – ამბობდა მეცნიერი „ამერიკის ხმასთან".

**ტოპონიმები, როგორც ეროვნული და ტერიტორიული იდენტობის მახასიათებელი ნიშნები, მგრძნობიარე თემაა ეთნიკური ჯგუფებისთვის. გეოგრაფიული სახელების გარშემო კამათი თანმდევი პროცესია სხვა ეთნიკური ხასიათის შემცველი კონფლიქტებისთვისაც. მთიან ყარაბაღში ტოპონიმების გამო დღემდე კამათობენ აზერბაიჯანელები და სომხები. როგორც წესი, გამარჯვებული ჯგუფები ისტორიული კვალის, მათ შორის გეოგრაფიული სახელწოდებების წაშლის ხარჯზე ცდილობენ დაამტკიცონ, ვინ იყო ამ ტერიტორიაზე ავტოქთონი და სამშობლოზე, მიწაზე უპირატესობას ისინი ტოპონიმებზე მანიპულირებით ცდილობენ.**

**ლანა კოკაია**



# საიდუმლო დოკუმენტები ბაიდენსაც აღმოუჩინეს...

**აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი აცხადებს, რომ თავის ყოფილ ოფისში საიდუმლო დოკუმენტების აღმოჩენით გაკვირვებულია და გამოძიებასთან თანამშრომლობს. აღნიშნულის შესახებ ბაიდენმა მექსიკისა და კანადის ლიდერებთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

საქმე ეხება ათზე მეტ საიდუმლო დოკუმენტს, რომლებიც ბაიდენის ადვოკატებმა „პენ ბაიდენის ცენტრის" ოფისში აღმოაჩინეს, რის შესახებაც ინფორმაცია ეროვნულ არქივს მიაწოდეს. ბაიდენი პერიოდულად იყენებდა აღნიშნულ ოფისს 2017 წლის შუალედური არჩევნების დროს, როდესაც ის ვიცე-პრეზიდენტის პოსტს იკავებდა. რესპუბლიკელებმა დაუყოვნებლივ მოითხოვეს მომხდარის გამოძიება. ისინი ასევე მოუწოდებენ აშშ-ის ეროვნული დაზვერვის სააგენტოს ხელმძღვანელს, შეისწავლოს, რა ზიანი მიადგა ქვეყნის უსაფრთხოებას ბაიდენის მიერ აღნიშნული დოკუმენტების ფლობის გამო. თავად ბაიდენი აცხადებს, რომ დოკუმენტების შინაარსის შესახებ არაფერი იცის. შეგახსენებთ, მანამდე ჯო ბაიდენი მკაცრად აკრიტიკებდა დონალდ ტრამპს, რომლის სახლშიც ათეულობით დოკუმენტი აღმოაჩინეს.

# ყოფილ დეპუტატებს მოქალაქეობა ჩამოართვეს




**უკრაინის პრეზიდენტმა ყოფილ უკრაინელ დეპუტატებს – ვიქტორ მედვედჩუკს, ტარას კოზაკს, ანდრეი დერკაჩსა და რენატ კუზმინს უკრაინის მოქალაქეობა შეუწყვიტა.**

ამის შესახებ ვოლოდიმირ ზელენსკიმ ტრადიციულ ვიდეომიმართვაში განაცხადა. მისი თქმით, აღნიშნული პირებისთვის მოქალაქეობის გაუქმების გადაწყვეტილება უკრაინის უსაფრთხოების სამსახურისა და სახელმწიფო საიმიგრაციო სამსახურის მიერ მომზადებული მასალების საფუძველზე მოხდა.

**„თუ ხალხის რჩეულები ირჩევენ არა უკრაინელი ხალხის, არამედ უკრაინის მიწაზე მოსული მკვლელების სამსახურში ყოფნას, მაშინ ჩვენი ქმედებებიც შესაბამისი იქნება"**, – განაცხადა ზელენსკიმ.

**„უკრაინსკაია პრავდას" ცნობით, ტარას კოზაკი ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გაიქცა რუსეთში. მას სახელმწიფოს ღალატში ადანაშაულებენ. ვიქტორ მედვედჩუკი უკრაინაში იმალებოდა და რუსეთში გაქცევის მცდელობისას დააკავეს. მოგვიანებით, ის უკრაინელ სამხედრო ტყვეებში გაცვალეს. ექსდეპუტატი დერკაჩი, უკრაინული მედიის ცნობით, რუსეთის გენშტაბის ჯაშუშურ ქსელს ხელმძღვანელობდა და ახლა მასზე ძებნაა გამოცხადებული. დეპუტატი კუზმინი ეჭვმიტანილია სახელმწიფოს ღალატში და უკრაინაში მასზეც ძებნაა გამოცხადებული.**

# თურქეთმა უკრაინას ფარულად გადასცა კასეტური ბომბები?!

გასული წლის ბოლოს, თურქეთმა უკრაინისთვის ცივი ომის პერიოდის კასეტური საბრძოლო მასალების მიწოდება ფარულად დაიწყო.

**„შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ადმინისტრაციისთვის კიევის მიმართვის შემდეგ, 2022 წლის ბოლოს, თურქეთმა დაიწყო აშშ-ის მიერ შექმნილი კასეტური საარტილერიო ჭურვების გაგზავნა უკრაინაში"**, – წერს გამოცემა აშშ-ისა და ევროპის მოქმედ და ყოფილ ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით.

აღნიშნულია, რომ ამ ტიპის საბრძოლო მასალა შეიძლება იყოს ძალიან ეფექტური რუსული ტანკებისა და ქვეითების წინააღმდეგ, მაგრამ ასევე შეუძლია ზიანი მიაყენოს მშვიდობიან მოსახლეობას. იარაღი შექმნილია ტანკების განადგურების მიზნით, მცირე ქვედანაყოფებში აფეთქებით, რომელიც შეიძლება ბრძოლის ველზე წლობით დარჩეს, თუ მაშინვე არ აფეთქდებიან.

**„მას შემდეგ, რაც შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა (უკრაინისთვის) კასეტური საბრძოლო მასალის ხელმისაწვდომობაზე, თურქეთი იყო ერთადერთი ადგილი, სადაც მათ შეეძლოთ ამის მოპოვება. ეს უბრალოდ გვიჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი გარკვეულწილად ემორჩილება რუსეთს, ის სამხედრო თვალსაზრისით უკრაინის მართლაც მნიშვნელოვანი მხარდამჭერი გახდა"**, – თქვა ერთ-ერთმა წყარომ, რომელმაც ანონიმურობის პირობით ისაუბრა. ჯერჯერობით უცნობია, გამოიყენეს თუ არა ეს კასეტური საბრძოლო მასალები უკრაინულმა ძალებმა.






# პორტუგალიის სასაფლაოებზე ცხედრები თავისით მუმიფიცირდება

## მეცნიერები მიზეზს ჯერ ვერ ადგენენ

**უცნაურია, მაგრამ პორტუგალიაში, ადამიანის ცხედრების გარკვეული ნაწილი დაკრძალვის შემდეგ არ იხრწნება, რაც სერიოზული კრიზისის საფუძველი გახდა. აღმოჩნდა, რომ დამარხვის შემდეგ ნეშტები მუმიფიცირდება. ადგილის დაზოგვის შესახებ ადგილობრივი კანონის მიხედვით, საჭიროა საფლავებიდან გვამების რეგულარულად ამოღება და ჩონჩხის ნარჩენების უფრო მცირე კონტეინერებში მოთავსება.**

**თუმცა, მრავალი ნეშტი არ იხრწნება, რაც დიდ ტრავმას იწვევს მათ ოჯახებში – წარმოიდგინეთ, საყვარელ ადამიანთა სხეულებს საფლავიდან მრავალჯერ იღებენ და უკან აბრუნებენ, რათა ისინი ბოლომდე გაიხრწნას. ფუნდამენტური პრობლემა ის არის, რომ სინამდვილეში არავინ იცის, რა ემართება კუბოებში დამარხულ სხეულებს. უცნაური მუმიფიკაციის გამომწვევი მიზეზის გარკვევაზე პორტუგალიელი მეცნიერები უკვე მუშაობენ.**

### საფლავების გადამუშავება გადატვირთულობის თავიდან ასაცილებლად

**ჯერ კიდევ 1960-იან წლებში, პორტუგალია ვიწრო ურბანული სასაფლაოების სერიოზული გადატვირთულობის წინაშე აღმოჩნდა და დროებითი საფლავების კონცეფცია შემოიღო.**

იდეა მარტივია: დაშლილი სხეული ნაკლებ ადგილს იკავებს. ძვლების ჩაწყობა უფრო პატარა კუბოშია შესაძლებელი, რომელსაც შემდეგ უფრო ნაკლებად მოცულობით საბოლოო განსასვენებელ ადგილას ათავსებენ, მაგალითად, სასაფლაოს კედლებში სპეციალურად გაკეთებულ უჯრებში.

**„ქალაქებში არ გვაქვს ახალი სასაფლაოების გახსნის ან უკვე არსებულების გადიდების ადგილი"**, – ამბობს კოიმბრას უნივერსიტეტის სასამართლო-სამედიცინო ანთროპოლოგი ანჟელა სილვა ბესა, რომელიც პორტუგალიის სასაფლაოებს სწავლობს.

### სხეულები, რომლებიც არ იხრწნებიან

**დამარხვიდან სამი წლის შემდეგ, გარდაცვლილთა ოჯახები ხშირად იღებენ წერილს, რომელიც მათ აფრთხილებს, რომ ნეშტი სასწრაფოდ უნდა გადაიტანონ. კანონის მიხედვით, სხეულის გადატანა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი ის ისეა დაშლილი, რომ დარჩენილია მხოლოდ ჩონჩხი, რბილი ქსოვილების გარეშე.**

ამის შესამოწმებლად, საფლავი უნდა გაითხაროს. თუ გვამი საკმარისად გახრწნილი არ არის, მას კვლავ მარხავენ და ეს პროცესი ყოველ ორ წელიწადში მეორდება, იქამდე, ვიდრე ის მთლიანად არ გაიხრწნება. პორტუგალიის სიდიდით მეორე ქალაქის, პორტუს სასაფლაოების კვლევამ აჩვენა, რომ 2006-2015 წლებში, ნეშტების დაახლოებით 55-64 პროცენტი პირველი ექსჰუმაციის შემდეგ სრულად გახრწნილი არ იყო.

პაულუ კარეირა, სასაფლაოს მფლობელი და პორტუგალიის სასაფლაოების ეროვნული ასოციაციის ხელმძღვანელი ამბობს, რომ პირველ ჯერზე ასეთ მოვლენას ოჯახები საკმაოდ ნორმალურად ხვდებიან. თუმცა, მიცვალებულის სხეულის განმეორებითი ამოთხრები შეიძლება ემოციურად საკმაოდ საზიანო იყოს. კარეირას განცხადებით, ზოგიერთ შემთხვევაში, სხეულის ამოთხრა და ხელახლა დამარხვა ათეულობით წელიწადს გრძელდება, ვიდრე ის საბოლოო განსასვენებელს მიაღწევს.

ამ ნეშტების გარკვეული ნაწილისთვის ეს პროცესი ფაქტობრივად დაუსრულებლად გრძელდება, რადგან ისინი უკვე მუმიფიცირებულია. ეგვიპტური მუმიებისგან განსხვავებით, რომლებსაც ასე მიზანმიმართულად ამუშავებდნენ, პორტუგალიაში ეს თავისით ხდება. ბუნებრივი მუმიფიცირება ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც სხეული იმდენად სწრაფად შრება, რომ ხრწნა უბრალოდ ჩერდება. ასეთი პროცესი შემჩნეულია უდაბნოების ან მყინვარების მსგავს გარემოში, ძლიერ სიცხეში ან სიცივეში. თუმცა, საკმაოდ რთული აღმოჩნდა იმის დადგენა, რატომ ხდება ამდენი შემთხვევა პორტუგალიის სასაფლაოებზე.

### მიზეზის ძიება

**სილვა ბესა და მისი კოლეგები სწავლობდნენ, რა შეიძლება ანელებდეს პორტუგალიაში გვამების ხრწნას. ეს კვლევა პირველი იყო ამ მიმართულებით.**

ოჯახების თანხმობით, მან გვამებისა და მათ გარშემო მიწის ნიმუშები შეაგროვა ხუთი სასაფლაოდან.

**„გასაოცარია, რომ სასაფლაოს ერთსა და იმავე მონაკვეთში ხრწნის სხვადასხვა ეტაპები ფიქსირდება"**, – ამბობს სილვა ბესა. მისი თქმით, ზოგიერთი სხეული სრულად გაჩონჩხებულია, ზოგი ჯერ კიდევ იხრწნება, ზოგიერთი კი თავიდან ფეხებამდე მუმიფიცირდება.

**„ერთ სხეულზეც კი შეიძლება ნახოთ, რომ სხეული გაჩონჩხებულია, მენჯის არე ხრწნაშია, ხელები კი მუმიფიცირებული. თითქმის ყველაფერს შეიძლება წააწყდეთ"**, – ამბობს მკვლევარი.

სილვა ბესამ შეამოწმა ნიადაგის რვა მახასიათებელი, რომლებიც შეიძლება ხრწნაზე ახდენდეს გავლენას; მათ შორის არის ტემპერატურა, მჟავიანობა, ტენიანობა, სიმკვრივე, მძიმე ლითონებით დაბინძურება და ორგანული მასალა. ჯერჯერობით მან რაიმე მნიშვნელოვანს ვერ მიაგნო.

**„გულწრფელად ვფიქრობდი, რომ მაინც ვიპოვიდი კავშირს ნიადაგის თვისებებსა და სხეულის შემადგენლობის მდგომარეობას შორის, მაგრამ ეს ვერ შევძელი"**, – ამბობს იგი. მისი შემდეგი ნაბიჯი იმის შემოწმება იქნება, შეიძლება თუ არა, ამაზე გავლენას ახდენდეს ის ნივთიერებები, რასაც ადამიანები სიცოცხლეში მოიხმარდნენ, მაგალითად, ეწეოდნენ ან იღებდნენ თუ არა გარკვეულ მედიკამენტებს.

### სხეულების ხრწნის ამბავი ჯერ კიდევ გაურკვეველია

**ნიდერლანდების მაასტრიხტის უნივერსიტეტის სასამართლო-სამედიცინო მეცნიერებათა ლექტორი ტრისტან კრაპი ამბობს, რომ მას სულაც არ უკვირს, რომ გვამები სამ წელიწადში სრულად არ იხრწნება.**

მისი განცხადებით, „ნორმალურ სხეულს" საფლავში გახრწნისთვის ხუთი წელიწადი სჭირდება, თუმცა აღიარებს, რომ ეს ძირითადად ვარაუდია.

კრაპი და მისი კოლეგა მეცნიერები ხრწნის შესასწავლად შემოწირულ ორგანოებს იყენებენ.

თუმცა, ამ შემთხვევაში ძირითადად იმაზე არიან ფოკუსირებული, რა ემართება ცხედარს მიწის მაღლა, რაც გამოსადეგია მკვლელობის მსგავს შემთხვევათა გამოსაძიებლად, მაგრამ ნაკლებად არის გამოსადეგი ჩვეულებრივი საფლავების ამბის შესასწავლად. გაცილებით ნაკლები კვლევაა ჩატარებული იმის შესახებ, რა ემართება სხეულს საფლავში დამარხვის შემდეგ, რაც ალბათ უფრო კომპლექსურია. სხეული „უზარმაზარი ბიოლოგიური ბომბის" მსგავსია, რომელსაც ნიადაგში შეაქვს ბაქტერიები, ქსოვილები და სხვადასხვა სახის წვენი, რასაც თავის მხრივ აქვს კომპლექსური ეკოსისტემა. კრაპის თქმით, ერთი ფაქტორი შეიძლება იყოს სხვადასხვაობები ადამიანთა სხეულებს შორის, მაგალითად, საერთო ზომა, კუნთოვანი მასა და ცხიმის დონე.

**მომზადებულია Business Insider-ის მიხედვით.**

**მიხეილ ჭაბუკაშვილი**

ევროლიგა

# კონკურენტთან წააგეს

**ევროლიგის მე-8 ტურში თორნიკე შენგელიას „ვირტუს ბოლონიამ“ კაუნასის „ჟალგირისს“ უმასპინძლა და ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი 77:87 წააგო.**

იტალიელები გამარჯვების შემთხვევაში პლეი-ოფის ზონაში შევიდოდნენ, მაგრამ მარცხით სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუარესეს, თანაც, „ჟალგირისი“ მათი პირდაპირი კონკურენტია. თამაში დაძაბული გამოდგა და ყველაფერი მეოთხე პერიოდში გადაწყდა, რომელიც ლიეტუველებმა 10 ქულით მოიგეს და თამაშიც ამ სხვაობით იმარჯვეს. თორნიკე შენგელიამ 23 წუთი ითამაშა, ხსენებულ დროში კი 4 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა კალათბურთელმა 4-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, ხოლო 1 სამქულიანი და 2 საჯარიმო ააცილა, შედეგად მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 4-ს გაუტოლდა.

„ვირტუსი“ 8 მოგებით და 10 წაგებით სატურნირო ცხრილში მე-12 ადგილზეა, მომდევნო შეხვედრას კი დღეს შინ პირეოსის „ოლიმპიაკოსთან“ გამართავს.




აუზში



# ზედიზედ მეხუთედ

**საქართველოს ჩემპიონმა წყალბურთში „დინამო თბილისმა“ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონის მეხუთე მატჩი ჩაატარა და ისევ დამარცხდა.**

დეიან სტანოიევიჩის გუნდი სერბეთში „რადნიჩკის“ ესტუმრა და მეტოქეს არაფერი დაუთმო, მაგრამ მარცხს თავი მაინც ვერ აარიდა – 10:11. მთელი თამაში დაძაბულ ვითარებაში წარიმართა, პრაქტიკულად ქულა-ქულაში და თბილისელებს ბოლო შეტევაშიც შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს და ერთი ბურთის სხვაობით წააგეს.

„დინამო თბილისს“ გიორგი მაგრაქველიძემ 3 გოლით ულიდერა, ორ-ორჯერ გაიტანეს იოვან სარიჩმა და ანდრია ვლაჰოვიჩმა, თუმცა, მათი გარჯა გამარჯვებისთვის საკმარისი არ გამოდგა.

„დინამო“ მოგების გარეშე და 5 მარცხით A ჯგუფში ბოლო ორ ადგილს „ჰანოვერთან“ ერთად იყოფს, რომელსაც 24 იანვარს თბილისში დაუპირისპირდება.

ოვალური ბურთი

# მსოფლიოს თასამდე – შოტლანდიაში

**2023 წლის მსოფლიოს თასის წინ ბორჯღალოსნები გასახურებელ ტესტ-მატჩს 26 აგვისტოს ედინბურგში შოტლანდიის წინააღმდეგ გამართავენ.**

თამაში ლეგენდარულ „მარიფილდზე“ გაიმართება“, რომელიც 1925 წელს აშენდა და 67 ათასზე მეტ მაყურებელს იტევს. ბორჯღალოსნები ამ არენაზე მესამედ, შოტლანდიასთან კი ჯამში მეექვსედ ითამაშებენ. აღსანიშნავია, რომ ტიერ1-ის სარაგბო ქვეყნებიდან მსოფლიოს თასს მიღმა სქოთებთან ყველაზე მეტჯერ – 4-ჯერ გვითამაშია. ასევე, ის გახდა ტიერ1-ის პირველი გუნდი, რომელიც სათამაშოდ საქართველოში ჩამოვიდა. ეს 2019 წლის მსოფლიოს თასის წინ მოხდა და რომ არა კოვიდ-პანდემია, 2021 წლის ზაფხულშიც გვეწვეოდა.

„ჩვენთვის პატივი, გამოწვევა და რა თქმა უნდა შესაძლებლობაა მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ისეთ გრანდთან თამაში, როგორიც შოტლანდიის ნაკრებია, – ეს საშუალებას მოგვცემს უფრო ნათლად დავინახოთ ჩვენი გუნდის ძლიერი და სუსტი მხარეები და უკეთ მოვემზადოთ მსოფლიოს თასისთვის.

მეორეს მხრივ, ეს ერთგვარი აღიარებაცაა, როდესაც მსოფლიო რაგბის პირველი ეშელონის გუნდი შოტლანდია საქართველოს საკმარისად ღირსეულ მეტოქედ მიიჩნევს თავისი ტესტ-მატჩების კალენდარში შესაყვანად. ბოლო 7 წლის განმავლობაში საქართველოს მეხუთედ ეძლევა ასეთი შესაძლებლობა და, მაიუხედავად იმისა, რომ აქამდე ყოველთვის შოტლანდია იმარჯვებდა, ჩვენი გუნდისთვის ეს შეხვედრები ყოველთვის იყო სპორტული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი.

2022-ში უმაღლესი ეშელონის, ტიერ1-ის ზედიზედ ორ ნაკრებზე – იტალიასა და უელსზე გამარჯვება საქართველოს ნაკრებს ამჯერად სულ სხვა ჭრილში წარმოაჩენს და გაცილებით მეტ საერთაშორისო ინტერესს იწვევს შოტლანდიასთან მისი მორიგი დაპირისპირება; შოტლანდიაც თავის საუკეთესო ფორმაშია – შემოდგომაზე მან ახალ ზელანდიასა და ავსტრალიასთან შთამბეჭდავი ორთაბრძოლა გვაჩვენა, არგენტინა კი 52:29 დაამარცხა.




საქართველოს რაგბის კავშირის მთელი სტრატეგია ამჟამად მიმართულია ქართული რაგბის უფრო მძლავრად წარმოსაჩენად საერთაშორისო არენაზე და მსოფლიოს ყველაზე ძლიერ მეტოქეებთან თანასწორ ურთიერთობაზე. ჩვენ გვაქვს მსოფლიო რაგბის მხარდაჭერა, რომელმაც მსოფლიო რაგბის პრეზიდენტის ბილ ბომონტის სიტყვებით, ათქულიან შკალაზე 10-იანი შეფასება დაიმსახურა. შედეგებს წელს კიდევ უფრო მკაფიოდ დავინახავთ ქართული გუნდების ახალ და უფრო მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირებში მიწვევის სახით“– ამბობს რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი **თორნიკე გოგებაშვილი.**

ბორჯღალოსანთა და შოტლანდიის ურთიერთშეხვედრების ისტორია სათავეს 2011 წლიდან იღებს, როდესაც მეტოქეს ახალ ზელანდიაში, ინვერქაგილში, მსოფლიოს თასზე ლელო არ გავატანინეთ, თუმცა მეტოქემ მაინც იმარჯვა – 15:6.

2016 წელს შოტლანდიამ ქილმანროქში გვიმასპინძლა და 43:16 იმარჯვა. 2019 წლის მსოფლიოს თასის წინ მათ ორჯერ შევხვდით და თბილისში სტუმრებმა 44:10, ხოლო ედინბურგში 36:9 იმარჯვეს. 2020 წელს შოტლანდიას კიდევ ერთხელ ვეწვიეთ „მარიფილდზე“ და ამჯერად მეტოქემ 48:7 მოიგო. აღსანიშნავია, რომ შოტლანდიამ ბორჯღალოსნები სათამაშოდ პირველად 2008 წელს მიიწვია, ოღონდ მაშინ „ა“ ნაკრებით დაგვიხვდა და 69:3 გაიმარჯვა. შოტლანდიის „ა“ ნაკრებს 2010 წელს, ბუქარესტის ერთა თასზეც შევხვდით და 22:21 დავამარცხეთ.

2023 წლის მსოფლიოს თასამდე ბორჯღალოსნები კიდევ ორ გასახურებელ თამაშს გამართავენ. მეტოქეთა ვინაობა უახლოეს პერიოდში დაზუსტდება. საფრანგეთის მსოფლიოს თასი 8 სექტემბერს დაიწყება, საქართველო კი პირველ შეხვედრას 9 სექტემბერს, ავსტრალიის წინააღმდეგ გამართავს.

უბერებელი

# რიკოშეტი რომ არა

**„ინტერმა“ იტალიის თასზე ტიტულის დასაცავად თამაში წარმატებით დაიწყო და მეოთხედფინალში გავიდა. სიმონე ინძაგის გუნდმა მერვედფინალში „სან სიროზე“ სერია B-ს წევრი „პარმა“ გაჭირვებით და დამატებით დროში, მაგრამ მაინც დაამარცხა.**

38-ე წუთზე სტანკო იურიჩის საოცარი გოლით პარმელები დაწინაურდნენ და 88-ე წუთამდე ანგარიშს ინარჩუნებდნენ, თან ისე, რომ „ინტერს“ კარში ზუსტი დარტყმა არ ჰქონდა. არც ექნებოდა, რომ არა რიკოშეტი ლაუტარო მარტინესის დარტყმის შემდეგ და ანგარიში გათანაბრდა. „ნერაძურის“ მოგება ძირითად დროში შეეძლო, მაგრამ მსაჯის მიერ კომპენსირებულ პირველ წუთზე ედინ ჯეკოს დარტყმა ჯანლუიჯი ბუფონმა ბრწყინვალედ მოიგერია, მოძრაობის საპირისპიროდ, მაგრამ უბერებელმა მეკარემ რეაქცია არ დააყოვნა – დიდებული სეივი იყო! დამატებითი დრო „პარმამ“ აქტიურად დაიწყო და რამდენიმე რეალური მომენტი გაანიავა, აი, 110-ე წუთზე კი ფრანჩესკო აჩერბიმ მილანელებს მოაგებინა.



ჯიჯი ბუფონზე ცალკე უნდა ვთქვათ! ის ორ კვირაში 45 წლის გახდება, მაგრამ ისევ თამაშობს და ისევ კონდიციებშია. ჯიჯის იტალიის თასზე დებიუტი 25 წლის წინ ჰქონდა და ახლა ამ ტურნირზე კვლავ ითამაშა. „სან სიროზე“ ეს მისი 50-ე მატჩი იყო და პირველად „საფეხბურთო ლა სკალაში“ 27 წლის წინ ითამაშა. 44 წლის, 11 თვისა და 18 დღის ასაკში ის ყველაზე ხანდაზმული მოთამაშე გახდა, რომელმაც „სან სიროზე“ ითამაშა.

„პარმას“ შემადგენლობაში მხოლოდ 4 ფეხბურთელი იყო მოედანზე ისეთი, რომელიც დაბადებული იყო მაშინ, როცა ბუფონს სერია A-ში დებიუტი ჰქონდა... სიტყვები ზედმეტია, ჯანლუიჯი ბუფონი უნიკალური მეკარე და ადამიანია. საწყენია, რომ „ინტერის“ ტიფოზები მას მთელი თამაშის განმავლობაში უსტვენდნენ.

„პარმა“ იტალიის თასიდან გავარდა, მაგრამ სერია A-ში დასაბრუნებლად ბრძოლას აგრძელებს. „ინტერი“ მეოთხედფინალში „ატალანტასა“ და „სპეციას“ წყვილში გამარჯვებულს შეხვდება.

სერია – A

# შესაძლოა შეუცვალონ



**„კრემონეზეს“ მთავარი მწვრთნელი მასიმილიანო ალვინი შესაძლოა გაათავისუფლონ. მიზეზი წარუმატებელი შედეგებია, რადგან სერია A-ში კრემონული გუნდი ისევ მოუგებელია.**

„ვერონასთან“ მარცხის (0:2) შემდეგ „კრემონეზე“ სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე დაქვეითდა და ალვინი ჯერ არ დაუთხოვიათ, მაგრამ იტალიური მედიის ცნობით, ბოლო შანსს „მონცასთან“ ზეგ გასამართ შეხვედრაში მიიღებს.

თუ „კრემონეზე“ ხსენებულ მატჩს ვერ მოიგებს, დიდი შანსია, რომ ალვინი გაათავისუფლონ. მის შემცვლელად იტალიური პრესა რობერტ დ'ავერსასა და დავიდე ბალარდინის ასახელებს.

მასიმიალინო ალვინიმ „კრემონეზე“ შარშან ზაფხულში ჩაიბარა და სერია A-ს კლუბში კარიერაში პირველად მუშაობს, მაგრამ მისმა გუნდმა 17 ტურში მხოლოდ 7 ქულა დააგროვა და სამშვიდობო ზონასთან 8-ქულიანი ჩამორჩენა აქვს.

აქვე ვთქვათ, რომ მასიმილიანო ალვინი ლუკა ლოჩოშვილს მუდმივად ენდობა და ქართველმა ფეხბურთელმა სერია A-ში 14 მატჩი ჩაატარა, თანაც ყველა ძირითად შემადგენლობაში.

# მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის საშობაო ფესტივალი



**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან, გრიგოლ ლილუაშვილთან ერთად, ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიას ეწვია, სადაც ყოველწლიური საშობაო ფესტივალის – „გენეთლიას“ გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიაში გორისა და ატენის მიტროპოლიტმა, მეუფე ანდრიამ უმასპინძლა.

განათლების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მიხეილ ჩხენკელმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და ფესტივალის ორგანიზატორებს – გორისა და ატენის ეპარქიასა და ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიას მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარებასა და ცოდნის გაღრმავებაზე ზრუნვისთვის მადლობა გადაუხადა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, **მოზარდებში მნიშვნელოვანი ღირებულებების ჩამოყალიბებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესების კუთხით სხვადასხვა არაფორმალური საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ღონისძიების ჩატარება აუცილებელია. მისი თქმით, სწორედ ამას ემსახურება ყოველწლიური ფესტივალი „გენეთლია“, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, მოსწავლეებს მრავალფეროვან, სახალისო და საინტერესო აქტივობებს სთავაზობს.**

მიხეილ ჩხენკელი და გრიგოლ ლილუაშვილი ფესტივალის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის აღსაყდრებიდან 45 და დაბადებიდან 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონფერენციას და კალიგრაფიის კონკურსს დაესწრნენ. კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოების წინაშე მოხსენებებით წარდგნენ მოსწავლეები და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ხელნაკეთი ნივთების გამოფენაც დაათვალიერეს და მოზარდების ნამუშევრებსა და შემოქმედებას პირადად გაეცნენ. საშობაო ფესტივალს ასევე ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის დეპუტატი გივი ჭიჭინაძე, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი, გორის მუნიციპალიტეტის მერი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი სოსიაშვილი.

განათლების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ყოველწლიური ფესტივალის, „გენეთლიას“ მიზანია საკონფერენციო გამოსვლების, კონკურსების, სპორტული აქტივობებისა და ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენების ორგანიზებით მოზარდებში შემოქმედებითი უნარების გაუმჯობესება და მოსწავლეებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. წლევანდელ ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაფუძნებულმა სასწავლებლებმა და გორისა და ატენის ეპარქიის საჯარო სკოლებმა.

კერძოდ, ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიამ, თბილისის წმ. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლურმა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლამ, ზუგდიდის წმ. გიორგის სახელობის გიმნაზიამ, ხაშურის წმ. დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონმა, ქარელის წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიამ, სალხინოს წმ. ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ, ბოლნისის წმ. იოანე ბოლნელის სახელობის სკოლამ, ნიქოზის წმ. ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის სკოლამ, სსიპ ვაჟა-ფშაველას სახელობის გორის მე-9 საჯარო სკოლამ, წმ. იოაკიმესა და ანას სახელობის ბაგა-ბაღმა (გორისა და ატენის ეპარქია) და ფერიცვალების სამრევლოს საკვირაო სკოლამ (გორისა და ატენის ეპარქია).

# ახალი წლის ბედნიერად წარმმართველი - წმინდა ბასილი დიდი



**14 იანვარს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ახალი წლის პირველ დღეს ზეიმობს, დღესვე არის წინადაცვეთა იესო ქრისტესი, ამ დღესაა ხსენება წმიდა ბასილი დიდისა, შესაბამისად ბასილი დიდის ლიტურგიაა, 15 იანვარს კი სერაფიმ საროველის ხსენებაა.**

ბასილი დიდი გაიზარდა წმინდანთა ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, შემდეგ ათენის სკოლაში... შემდეგ ის ძალიან დიდხანს უდაბნოში ცხოვრობდა. გრიგოლი ღვთისმეტყველთან – მეუდაბნოესთან მოღვაწეობდა მისი განუყრელი მეგობარი წმინდა ბასილი დიდი...

წმინდა ბასილი დიდი მთელი სიცოცხლის მანძილზე იყო მართლმადიდებლობის დამცველი.

ჰიპოთეზის თანახმად, ბასილი დიდი წარმოშობით ქართველი იყო. საგულისხმოა, რომ ბასილი დიდს ევედრებოდნენ წლის კეთილად და ბედნიერად წარმართვას.

ჩვენთან დიდი პოპულარობით სარგებლობს ბასილი დიდი, რაზეც მეტყველებს ისიც, რომ 14 იანვრისთვის აკეთებენ „ჩიჩილაკს“ (ტრადიციულად მას თხილის ხისგან ამზადებენ) და მას მოფერებით „ბასილის წვერებს“ ეძახიან – „შემოვდგი ფეხი, გფარავდეს ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა“.

**გიული ლიპარტია**

# ქართველი ფოტოგრაფის წარმატება



**ნიუ-იორკში მოღვაწე ქართველი ფოტოხელოვანი „Dvaliphotography“-ს დამფუძნებელი ხათუნა დვალი, იტალიის დედაქალაქ რომში გამართული ინტერნაციონალურ კონკურსის „YICCA“ (International Contest of Contemporary Art) გამარჯვებული გახდა.**

მიუხედავად იმისა, რომ კონკურსში მონაწილეობას იღებდა უამრავი ნიჭიერი და წარმატებული სხვადასხვა ჟანრში მოღვაწე ხელოვანი, ნიჭიერმა ფოტოგრაფმა, ათასობით მონაწილეს გაუწია კონკურენცია და 18 საუკეთესო ფინალისტს შორის, ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა. ხათუნა შვიდი წელია ამერიკაში, ნიუ-იორკის შტატში ცხოვრობს. თხუთმეტ წელზე მეტია, რაც ფოტოგრაფიაში მუშაობს, შეიძლება ითქვას, რომ ფოტოგრაფია მისი სულის განუყოფელი ნაწილია. ხელოვანის მიზანია ამ სფეროში დიდ წარმატებას მიაღწიოს და კიდევ უფრო გაითქვას სახელი.

# უანგარო სიკეთე



**ჩვენს ხალხს გაჭირვებაში, რომ განსაკუთრებულად შეუძლია გვერდში დგომა, ამის მრავალი მაგალითი არსებობს. დღეს სოციალურ მედიაში უამრავი რიგითი ქართველი სულ მცირე შემოწირულობით ახერხებს, თუნდაც მცირედით გაახაროს, ის ადამიანები ვისაც განსაკუთრებით ჭირდება ჩვენი გვერდით დგომა.**

ასეთი უანგარო სიკეთის მაგალითია სწორედ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში მცხოვრები 70 წლის დოდო კაკაბაძე, რომელსაც საზოგადოება დაეხმარა. ხანშიშესულ ქალს ხალხმა 9 000 ლარი შეუგროვა. სახლს, სადაც დოდო კაკაბაძე ცხოვრობს, კარი არ აქვს, ფანჯრის მინები ჩამსხვრეულია, სახურავი ნახევრად არის გადახურული, კედლები დაბზარულია, იატაკი კი ავარიული. წვიმის დროს სახლის ყველა ოთახში წყალი თანაბრად ჩადის.

**„უბედნიერესი ვარ, ჩემი ოცნება ახდა. მადლობა ხალხს, რომელიც გვერდით დამიდგა და გაყინვას გადამარჩინა“,** – აცხადებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში მცხოვრები დოდო კაკაბაძე. გულსატკენია, რომ ხალხს ირგვლივ ასე უჭირს, მაგრამ აგრეთვე გულს გვითბობს ის ფაქტი, რომ ჩვენს ირგვლივ არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ქმედებებით მისაბაძია თითოეული ჩვენგანისთვის.

# ქარიშხალი დასავლეთ საქართველოში

### სამეგრელო

**ძლიერმა ქარმა პრობლემები შექმნა სამეგრელოს რეგიონში. რამდენიმე მუნიციპალიტეტში მოსახლეობას ელექტროენერგია არ მიეწოდება.**

„ენერგო-პრო ჯორჯიის“ განმარტებით, ყველა პრობლემურ ადგილზე ჯგუფები უკვე მუშაობენ და ელექტროენერგიის მიწოდება ეტაპობრივად აღდგება. გარდა ამისა, წაქცეულია მრავალწლოვანი ხეები. მიმდინარეობს გაწმენდითი სამუშაოები. ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში – ცაიშსა და ცაცხვში ქარმა კერძო საცხოვრებელ სახლებს სახურავები გადახადა. ძლიერმა ქარმა ელექტროგადამცემი ხაზები ხობის მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულშიც დააზიანა, რის გამოც დენი არ მიეწოდება მოსახლეობის ნაწილს.



### გურია

**ლანჩხუთში ძლიერი ქარის შედეგად წაქცეულია ხეები, დაზიანებულია ელექტრობოძები. სოფელ ჩიბათში დაზიანდა ბუნებრივი გაზის მილი, რომლის აღდგენითი სამუშაოები უკვე დაწყებულია.**

ქალაქის ცენტრალურ სკვერში დაზიანებულია საახალწლო განათებები. შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც ზარალს აღწერს. ამჟამად ელექტროენერგია არ მიეწოდება სოფლებს: გრიგოლეთს, ნიგვზიანს, ჯურუყვეთს, ლესას, ჩიბათსა და აკეთს. კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯია“ აღდგენით სამუშაოებს უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს. მობილიზებულია ყველა სამსახური. კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ სხვადასხვა სახის სალიკვიდაციო ღონისძიებები ტარდება.

### იმერეთი

**ძლიერმა ქარმა პრობლემები შექმნა ქუთაისში. სტიქიის გამო რამდენიმე ხე წაიქცა და სახლების სახურავები დაზიანდა.**

ქალაქის მერის, იოსებ ხახალეიშვილის განცხადებით, მერიაში ამოქმედებულია ცხელი ხაზი, ხოლო ქალაქში არსებულ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მობილიზებულია ჯგუფები, რათა საჭიროების შემთხვევაში მოქალაქეებს დახმარება გაუწიონ.

პარალელურად მიმდინარეობს ზარალის აღწერა.

# ზურა ბაკურაძეს შვილმა პირობა შეუსრულა

2021 წლის ზაფხულში ტრაგიკულად გარდაცვლილი უნიჭიერესი და უკეთილშობილესი მომღერლის, ანსამბლ „ქართული ხმების“ სოლისტის ზურაბ ბაკურაძის 18 წლის ანა ბაკურაძემ მამას პირობა შეუსრულა.



**„როცა მამა გარდაიცვალა, მასთან დავდე პირობა, აუცილებლად ვიმღერებ-მეთქი და ახლა მომეცა ამის ძალა და შესაძლებლობა“** – აცხადებს ანა ბაკურაძე. ანა ბავშვობიდან მღერის, მამასთამ ერთად ნამღერ ვიდეოებს უამრავი მოწონება და გაზიარება აქვს სოციალურ მედიაში. ბიძის გივი ბაკურაძის (რომელიც ასევე „ქართული ხმების“ მომღერალია) და მამის მეგობრების დახმარებით, შევარჩიეთ 12 ქალაქური სიმღერა და მას ძველით ახალი წლის ღამეს, პირველად წარვუდგენთ მსმენელს, ბაკურიანის ერთ-ერთ სასტუმროში. ანა საღამოზე ზურას ფოლკლორულ სტუდიაში, შვილივით გაზრდილ ლუკა გახოკიძესთან ერთად წარსდგება. წარმატება გვინდა ვუსურვოთ ანას, რომელიც საოცარი გენეტიკის და საოჯახო ტრადიციების გამგრძელებელია.

**რუსუდან ქობულია**



გილოცავთ!

# აკადემიკოსი გივი გავარდაშვილი

საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი 15 იანვარს იუბილარია.

ბატონმა გივი გავარდაშვილმა 1981 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით და ამავე წლიდან მეცნიერული მუშაობა დაიწყო და დღემდე აგრძელებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში (ყოფილი – საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი).

გივი გავარდაშვილი 1987 წელს წარმატებით იცავს ჯერ საკანდიდატო დისერტაციას და ენიჭება ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1996 წელს კი – სადოქტორო დისერტაციას და ენიჭება ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მშობლიურ ინსტიტუტში მან გაიარა ყველა საფეხური უმცროსი მეცნიერთანამშრომლიდან დირექტორის თანამდებობამდე და 2005 წლიდან დღემდე ერთგულად დგას ინსტიტუტის განვითარების რთულ გზაზე.

პარალელურად 1993 წლიდან დღემდე მეცნიერულ მუშაობასთან ერთად იგი აქტიურადაა ჩართული ახალგაზრდა კადრების საგანმანათლებლო საქმიანობაში – ლექციებს კითხულობს როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის (ცენტრალური ჩინეთის, გერმანიის, ბელარუსის, ლიტვის, პოლონეთის, ისრაელის, აშშ-ის, იტალიის, ნიდერლანდების და სხვ.) სხვადასხვა უნივერსიტეტებში.

ბატონი გივი გავარდაშვილი მიღწეული მეცნიერული დამსახურებისათვის 2022 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად. ბატონ გივის საქართველოსა და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული აქვს 300-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის – 15 მონოგრაფია და 10-ზე მეტი სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, არის ავტორი 15-მდე გამოგონების, მრავალი მეთოდური მითითებისა და სახელმწიფო პროგრამის, ასევე არის საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო გრანტების ხელმძღვანელი.

აკადემიკოსი გივი გავარდაშვილი 40 წელზე მეტია, აქტიურად მუშაობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში (ყოფილი სსიპ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი), იგი არის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი და ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. მისი ხელმძღვანელობით დაცული არის 10-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, ასევე იგი მონაწილეობდა მრავალ სახელმწიფო თუ საუწყებო კომისიაში. განსაკუთრებული მეცნიერული მიღწევებისა და მაღალი ადამიანური ფასეულობების გამო აკადემიკოსი გივი გავარდაშვილი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის თანამშრომლები ბატონ გივი გავარდაშვილს დიდი სიყვარულითა და დამსახურებული პატივისცემით ულოცავენ იუბილეს და უსურვებენ კიდევ მრავალი წელი ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ჩვენი ქვეყნის წყალთა მეურნეობისა და გარემოს დაცვის მეცნიერების განვითარების საქმეში.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის თანამშრომლები**




## საქართველოს ეროვნული მუზეუმი მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმებს შორის

**სამოგზაურო და გასართობი ამერიკული გამოცემა Best Life მკითხველს საქართველოში მოგზაურობასა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის დათვალიერებას ურჩევს.**

ზაქარი მაქის სტატიაში „10 საუკეთესო მუზეუმი რომელსაც უნდა ეწვიო" საქართველოს ეროვნული მუზეუმი მსოფლიოს წამყვან მუზეუმებს შორის აღმოჩნდა. სტატიაში საქართველოს, აშშ-ის, ჰოლანდიის, საბერძნეთის, ახალი ზელანდიის, ისრაელის, თურქეთისა და ეგვიპტის მუზეუმებია აღწერილი.

**„დედამიწაზე არ არსებობს კუთხე, რომელსაც საკუთარი ისტორია არ ჰქონდეს, მაგრამ ექსპერტების აზრით საქართველოს ეროვნული მუზეუმის გავლენა საზღვრებს სცდება და ვიზიტორებში აღფრთოვანებას იწვევს",** – წერს ზაქარი მაქი.

სტატიაში National Geographic-ის მოგზაური მწერლის ჯო იოგერტის ციტატაა მოყვანილი. ჯო იოგერტმა საქართველოში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოწვევით იმოგზაურა და National Geographic-ის სპეციალური გზამკვლევისთვის თბილისის შესახებ სტატია მოამზადა. **„საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შეკრებილი კოლექციები საქართველოს მნიშვნელოვან როლს წარმოაჩენს ახლო აღმოსავლეთში, ევროპასა და კავკასიაში. არქეოლოგიური საგანძური ყველაზე საოცარი ექსპონატია. აქ წარმოდგენილია საქართველოს სამეფოს ოქროსა და ვერცხლის რელიკვიები. მუზეუმში თქვენ იხილავთ საბჭოთა ოკუპაციის დარბაზს, სადაც საბჭოთა კავშირის მიერ ქართველი ერის ჩაგვრა, დისიდენტთა სისტემატური დახვრეტები და ქართული კულტურის განადგურების კამპანიაა ნაჩვენები", – წერს** National Geographic**-ის მოგზაური მწერალი ჯო იოგერტი.**

## საუკეთესო დრამატული ფილმი და საუკეთესო რეჟისორი

რეჟისორ სტივენ სპილბერგის ფილმი „ფაბელმანები" „ოქროს გლობუსის" დაჯილდოების მე-80 ცერემონიაზე საუკეთესო დრამატულ ფილმად დაასახელეს, თავად სპილბერგი კი საუკეთესო რეჟისორად დასახელდა.

**„საუკეთესო კომედიური ფილმის" ნომინაციაში გაიმარჯვა ფილმმა „ინიშერინის ბანში", ხოლო მისი რეჟისორი მარტინ მაკდონა საუკეთესო სცენარისთვის დააჯილდოვეს. დრამატულ ფილმში შესრულებული საუკეთესო როლებისთვის ოსტინ ბატლერი („ელვისი") და კეიტ ბლანშეტი („ტარი") დააჯილდოვეს, ხოლო კომედიურ ფილმში შესრულებული საუკეთესო როლებისთვის - კოლინ ფარელი („ინიშერინის ბანში") და მიშელ იეო („ყველაფერი ყველგან ერთდროულად"). საუკეთესო ანიმაციურ ფილმად „გილერმო დელ ტოროს პინოქიო" დასახელდა, საუკეთესო დრამატული სერიალი „დრაკონის სახლი", საუკეთესო მინი-სერიალი კი „თეთრი ლოტოსი" გახდა.**




## ცაზე მწვანე კომეტა გამოჩნდება

**პირველად ბოლო 50 წლის განმავლობაში დედამიწის ცაზე ახლააღმოჩენილი ე.წ. მწვანე კომეტა გამოჩნდება.**

ასტრონომებმა კომეტა სახელწოდებით C/2022E3(ZTF) 2022 წლის 2 მარტს, აშშ-ში, პალომარის ობსერვატორიის კამერის მეშვეობით აღმოაჩინეს. ის მზის გარშემო საკმაოდ დიდ ორბიტაზე მოძრაობს, სწორედ ამის გამო კომეტა დედამიწას ძალიან დიდი ინტერვალის განმავლობაში არ უახლოვდება. სპეციალისტების გათვლით, ყველაზე ახლოს კომეტა მზესთან 12 იანვარს მივა. ამ დროს მის დანახვას დედამიწის ჩრდილოეთის ნახევარსფეროში ტელესკოპებისა და ბინოკლების გამოყენებით შეძლებენ. სამხრეთ ნახევარსფეროში კი კომეტის დანახვა თებერვალში იქნება შესაძლებელი, როდესაც ის ჩვენს პლანეტას მაქსიმალურად ახლო მანძილზე – 42 მილიონ კილომეტრზე მიუახლოვდება. **ეს 1-2 თებერვალს მოხდება.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა" გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 16 იანვარს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6941; ევრო - 2.8921;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2779;
100 რუბლი - 3.8801; თურქული ლირა - 0.1435;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5878;
1000 სომხური დრამი - 6.8183

**ამინდი 12 იანვრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | -8, | დღე +2 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -12, | დღე -1 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე +9 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -8, | დღე +8 |
| თბილისი: | ღამე | -6, | დღე -1 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge